140
1992/2

ISSN 0868-5177

ნაპერწკალი

7 8
1992

დაიხსოვეთ ეს დღე - 1992 წლის 31 ივლისი



დიახ, საქართველოს რესპუბლიკა გაეროს — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრია.

ვიდრე ამ დიდი აღიარების წუთი დადგებოდა, დაშლილი საბჭოთა იმპერიის ერთ-ერთი ყოფილი რიგითი რესპუბლიკის საქართველოს დამოუკიდებლობა ზედიზედ სცნო მსოფლიოს ათეულობით დიდმა თუ პატარა ქვეყანამ — გერმანიამ და იაპონიამ, აშშ-მა და უკრაინამ, საფრანგეთმა და კუვეიტმა, თურქეთმა, ისლანდიამ, ავსტრიამ, ბელგიამ, საბერძნეთმა... ეს იმას ნიშნავდა, რომ მსოფლიოს სახელმწიფოთა დიდმა ჯგუფმა აღიარა საქართველოს სუვერენობა და მისი ტერიტორიის ხელშეუხებლობა.

და აი, დადგა ნანატრი წუთიც.

დაიხსომეთ ეს დღე — 1992 წლის 31 ივლისი!

საქართველოს რესპუბლიკა გაეროს წევრად მიიღეს ფანტასტიკურად მოკლე დროში, ერთხმად, ყოველგვარი კამათისა და კენჭისყრის გარეშე. ამრიგად, საქართველო მსოფლიოს თავისუფალ სახელმწიფოთა დიდი და მრავალფეროვანი ოჯახის რიგით 179-ე სრულუფლებიანი წევრი გახდა.

გაერო...

ეს არის საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფისა და სახელმწიფოთა თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაცია — ყველაზე მძლავრი და ყველაზე ავტორიტეტული ორგანიზაცია დედამიწის ზურგზე.

მან შეცვალა ერთა ლიგა, რომელმაც ვერ მოახერხა კაცობრიობისათვის თავიდან აეცილებინა მეორე მსოფლიო ომი.

გაერო ჩაისახა 1942 წლის იანვარში, როცა აშშ-მა, დიდმა ბრიტანეთმა და სსრკ-მა ხელი მოაწერეს „გაერთიანებული ერების დეკლარაციას“.

1944 წლის აგვისტოში დუმბარტონ-ოქსის კონფერენციაზე ოთხმა სახელმწიფომ (აშშ, დიდი ბრიტანეთი, სსრკ, ჩინეთი) შეიმუშავა ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების წინასწარი პროექტი. იგი დაამტკი-

ცეს სან ფრანცისკოს კონფერენციაზე 1945 წლის 26 ივნისს. წესდება, რომელსაც ორმოცდაათმა სახელმწიფომ მოაწერა ხელი, ამოქმედდა 1945 წლის 24 ოქტომბრიდან.

ეს დღე გაეროს დაბადების დღეა.

გაეროს წესდება უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ხელშეკრულებაა. მისი პრეამბულა გვაუწყებს გაეროს შექმნის მთავარ მოტივს — ხალხთა მტკიცე გადაწყვეტილებას, ომის უბედურებისაგან იხსნან მომავალი თაობები. გაეროს მიზანია (წესდების 1-ლი მუხლი), დაიცვას საერთაშორისო მშვიდობა, განავითაროს სახელმწიფოთა მეგობრული ურთიერთობა, დაფუძნებული ხალხთა თანასწორობისა და თვითგამორკვევის პრინციპებზე, ადამიანის უფლებათა პატივისცემა რასის, სქესის, ენისა და რელიგიის განურჩევლად.

ამ მიზნის განსახორციელებლად გაეროს წევრებმა უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი პრინციპებით (წესდების მე-2 მუხლი): გაერო დაფუძნებულია ყველა სახელმწიფოს სუვერენულ თანასწორობაზე; ურთიერთშორის დავა უნდა გადაწყდეს მხოლოდ მშვიდობიანი გზით; წევრებმა თავი უნდა შეიკავონ მუქარის ან ძალის გამოყენებისაგან ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ...

გაეროს მთავარი ორგანოებია: გენერალური ასამბლეა, უშიშროების საბჭო, ეკონომიკური და სოციალური საბჭო, საერთაშორისო სასამართლო და სამდივნო გენერალური მდივნის მეთაურობით.

გაეროს შტაბ-ბინა ნიუ-იორკშია.

გაეროს ოფიციალური ენებია: ესპანური, ინგლისური, რუსული, ფრანგული და ჩინური.

უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით გენერალურ ასამბლეას შეუძლია, შეაჩეროს იმ წევრ-სახელმწიფოს უფლება-პრივილეგიების განხორციელება, რომლის მიმართაც უშიშროების საბჭო იძულების ზომებს იღებს, და გაეროდან გარიცხოს სახელმწიფო, რომელიც სისტემატურად არღვევს წესდების პრინციპებს.

ამრიგად, გაეროს წევრობა დიდი პატივია, მაგრამ, ამავე დროს, დიდად საპასუხისმგებლო მოვალეობაცაა — უნდა იყო ამ უდიდესი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობის ღირსი!

საქართველოს რესპუბლიკა გაეროს წევრია, ეს დიდი პატივია.

საქართველოს რესპუბლიკამ (ჩვენ, ყველამ — დიდმა თუ პატარამ, მოხუცმა თუ ახალგაზრდამ, ქალმა თუ კაცმა, მუშამ თუ ინტელიგენტმა) საქმით უნდა დაამტკიცოს, რომ იგი ნამდვილადაა გაეროს წევრობის ღირსი.

და საქართველოს რესპუბლიკა ამას დაამტკიცებს!

საქართველოს რესპუბლიკის
განათლების საერთაშორისო
ფილანთროპიული ერეოვნული
საზოგადოების ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკადური 7-8 1992

ნომრის შინაარსი

საქართველო გაეროს წევრია! [illegible]	2
კითხულობენ: ალალი ბაქრაძე — [illegible] [illegible]...	3
ლ. ალორაძე — [illegible] [illegible]	7
ალ. ლორია — [illegible] [illegible] (ფრაგმენტი)	8
[illegible] [illegible] [illegible] [illegible] — ბ. [illegible]	14
[illegible] [illegible] — [illegible] [illegible]	19
[illegible] [illegible] [illegible] — [illegible]	22
[illegible] — [illegible] (ფოტოჩანაწერი)	25
[illegible] — [illegible] — [illegible] (ჩანაწერი)	29
[illegible] — [illegible] (ფოტოჩანაწერი)	31

[illegible] [illegible] [illegible]
— [illegible] [illegible] [illegible]

ბავშვთგალიზრინეთ რა „ნაკადულის“ ბავშვთა დიდი ინტერესი, როგორც აკაკი ბაქრაძის ჩვენს ეროვნულ სტუდიოზას უნდა გადმოეგზავნა, თხოვნით ეიბეგართეთ ეროვნული თვალსაზრისათვის ცნობილ და საყვარელ პიროვნებას, რაზედაც ეს ეროვნული ოჯახი ოსურ ენაზე ნასაუბარი ვაგონი აკაკი სიკეთოვნებით დაგვაჯილდა.

აკაკი ბაქრაძე

ვისწავლოთ ეოთეოილეჯ

— ბატონო აკაკი! თუ რაიმე საწინააღმდეგო არ გექნებათ, საუბრის დასაწყისში თქვენს ბავშვობისდროინდელ მოგონებებს გადავწვდეთ. „ნაკადულის“ მკითხველი ეფიქრობ, დიდი ინტერესით მოისმენს მონათხრობს იმ შთაბეჭდილებებზე, დღემდე რომ შემორჩენენ თქვენს შეხსიერებას.

— ჩემი მოწაფეობის წლების მეორე ნახევარი დაემთხვა სსრკ-გერმანიის დიდ ომს. მეექვსე კლასში გადავედი, როცა იგი დაიწყო. მაშინაც დიდი გასაჭირი ადგა ხალხს, ჩვენც, მოსწავლეებსაც ჭირდა სურსათ-საზოვაგე. უმრავლესობას ლუკმაპური ენატრებოდა. ხშირად მოწაფეცა და მასწავლებელიც უჭმელ-უსმელი ატარებდნენ გაკვეთილს, დავდიოდით ჩაუცმელ-დაუხურავები, დედ-მამის ან უფროსი დაძმების ნახმარ, გაცვეთილ ტანსაცმელში გახვეულები. მაშინაც აშშ-დან გამოგზავნილი დახმარებით ვითქვამდით სულს. სხვათაშორის, დიდ მოდაში იყო კუს კვერცხების ფხვნილი. ვინც მას იშოვნიდა, თავს ბედნიერად გრძნობდა.

ჩვენი სწავლა-განათლება სკოლებში ერთი ვაი-ვაგლახით მიმდინარეობდა. როგორც დღეს, მაშინაც აღარ იბეჭდებოდა სახელმძღვანელოები საჭირო ოდენობით, ან ძველი, ნახევრად დახეული სახელმძღვანელოთი უნდა გვესწავლა, ან ის უნდა დაგვემახსოვრებინა, რასაც მასწავლებელი ზეპირად გვეტყოდა.

სკოლები მოუვლელი იყო. ზამთრობით აღარ თბებოდა. შუშებჩამტვრეულ ფანჯრებზე ან გაზეთის ქაღალდი იყო აკრული, ან რაიმე ქსოვილის ჭუჭყიანი ნაგლეჯი. მორღვეული იყო დისციპლინა. წესრიგის დარღვევაში მასწავლებლები მოსწავლეებს არ ჩამორჩებოდნენ. ვინღა ფიქრობდა სწავლაზე! ყველა საკუთარი ჭირ-ვარამით იყო შეწუხებული.

ომი ომია, დიდია იგი თუ პატარა — შედეგი ერთნაირი მოაქვს.

საზოგადოება მაშინაც ორად იყო გაყოფილი. ერთნი კომუნიზმის თავგადაკლული ერთგულნი იყვნენ, მეორენი სულმოუთქმელად ელოდნენ გერმანელების მოსვლას. რა თქმა უნდა, ამას ხმამაღლა ვერ ამჟღავნებდნენ, მაგრამ ნათესავ-მოყვრებში, ამხანაგ-მეგობრებში ბევრი ლაპარაკი იყო.

იმჟამად ისტორია სსრკ-ის სასარგებლოდ მოქმედებდა და გამარჯვებაც მას დარჩა.

ამ ომში საქართველომ სამნაირი მსხვერპლი გაიღო. პირველი — ისინი, ვინც უშუალოდ ომში დაიხოცა, მეორე — ისინი, ვინც გერმანელებისადმი სიმპათიისათვის სუკ-მა დაატიმრა და ციხეებში ჩაყარა. მესამე — ისინი, ვისაც გერმანიის დამარცხების გამო გული გაუტყდა და ირწმუნა — სსრკ-ს ვერავინ მოერევა და კომუნისტთა ბატონობაც სამარადისოაო.

ისტორიას თავისი კანონები აქვს და ყველაფერს — თავისი დრო. სსრკ-ის დაშლისა და გაქრობის დროც მოვიდა. ბევრი მაშინდელი გულგატეხილი მოესწრო ამ დღეს. ეს კი იმას გვასწავლის, რომ იმედი არასოდეს არ უნდა დაკარგო. ისტორიის სამართლიანობა ყოველთვის იმარჯვებს, ოღონდ სულწასულობამ არ უნდა გძლიოს. ნაადრევად ის არ უნდა მოინდომო, რისი დროც ჯერ არ დამდგარა.

რაც მოგახსენეთ, ეს საერთო სურათის გასათვალისწინებლად. თუმცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ომის წინა წლები იყო ჩემი თაობისათვის მშვიდობიანი. მე 1936 წელს დავიწყე პირველ კლასში სწავლა, როგორი იყო ჩვენი პირველი გაკვეთილი, ეს გავიხსენე ჩემს წიგნში „მწერლობის მოთვინიერება" (გვ. 89-91). მაგრამ ამგვარ კონკრეტულ შემთხვევებზე ახლა არ ვლაპარაკობ. ვიხსენებ ტოტალური დაჭერების, გასამართლებებისა და გადასახლებების ეპოქას. ჩემს თაობაში ძალიან იშვიათად იყო ბავშვი, რომელსაც ან მამა, ან დედა (ან ორივე ერთად), ან ძმა, ან ბიძა, ან რომელიმე ახლობელი დაპატიმრებული არ ჰყავდა. იშვიათად იყო ოჯახი, რომლის სრულწლოვანი წევრი დატუსაღებას არ ელოდა. საყოველთაო შიში სუფევდა, მაგრამ საყოველთაო ენთუზიაზმიც არსებობდა. მაგალითად, ესპანეთის სამოქალაქო ომს, როგორც საკუთარს, ისე განვიცდიდით. ტანში გვაჟრჟოლებდა, როცა გვესმოდა იტალიელი კომუნისტების სიმღერა — „ბანდიერა როსსა":

Avanti, o popolo, alla riscossa!
Bandiera rossa fvioniera.

მაგრამ ანტიკომუნისტური ხუმრობის, ან ანეკდოტის მოსმენის დროსაც სიცილით იხოცებოდა დიდი თუ პატარა.

ალექსანდრე მიქელაძეს, ცნობილ თეატრალურ რეჟისორს, რომელსაც ჭირის დღესავით სძულდა კომუნისტები, მეგობარმა კიროვის მკვლელობა მიახარა თურმე. ალ. მიქელაძე მშვიდად შეხვდა ამ ინფორმაციას. არავითარი რეაქცია არ გამოუმჟღავნებია. მეგობარი განცვიფრებულა: — კაცო, კიროვი მოკლეს, კიროვი, არ გიხარიაო? —რა უნდა მიხაროდესო,— მშვიდად უპასუხნია საშა მიქელაძეს, — ასე თითო-თითოდ თუ ხოცეს, როდის ამოწყდებიანო.

ასეთი ენაკვიმატობა მთქმელსაც და მსმენელსაც ხშირად კატორღად უჯდებოდა, მაგრამ ხალხი მაინც არ იშლიდა ხუმრობასა და ოხუნჯობას. ნამდვილ განწყობილებას ამით ამჟღავნებდა.

ჩვენთან, ოჯახში, დედაჩემი ხშირად ღიღინებდა დემოკრატიული საქართველოსდროინდელ სიმღერას,

ვენაცვალე ჟორდანიას,
ბებერ ძიასა,
ის მოუტანს საქართველოს
ვარდსა, იასა.

რაკი ჟორდანიას გვარი ხშირად გვესმოდა, ისიც უნდა გვცოდნოდა, ვინ იყო იგი და დემოკრატიული საქართველო რა იყო. არც ასეთი ინფორმაცია მაკლდა მშობლებისაგან და იმ მდიდარი ბიბლიოთეკიდან, ჩვენს ოჯახს რომ ჰქონდა.

სკოლაში კი გვაზეპირებინებდნენ და გვამღერებდნენ:

ჩვენ მოვსულვართ, რომ
ლაჟვარდში
საბჭოეთის დროშებს ვშლიდეთ,
რომ მზე-მალალ ჩვენს
სამშობლოს
ვგუშაგობდეთ კიდით-კიდე.
ჩვენ მოვსულვართ, რომ
დავძლიოთ
არქტიკული ყინვა, ქარი,
რომ დიდების შუქით ვმოსოთ
თავისუფალ შრომის მხარე.
სანდო ხელებს აბარია
ალუმინის ტანი,
კიდევ უფრო მაღლა ვიფრენთ,
ამხანაგო სტალინ!

გაგვიგრძელდა საუბარი. დასკვნის სახით უნდა ვითხრათ, რომ ჩემი ბავშვობისა და სიყმაწვილის ეპოქა იყო სავსე უბედურებით, სისხლით, ძალადობით, მაგრამ, ამასთანავე, ენთუზიაზმითაც და სიხარულითაც. დღეს, სამწუხაროდ, ენთუზიაზმი და სიხარული არ ჩანს. ეს კი ძალიან საშიშია, რადგან ხალხმა ენთუზიაზმი და სიხარული თუ შეინარჩუნა, მას ვერავითარი უბედურება, ვერავითარი ძალადობა, ვერავითარი ციხე და კატორღა ვერ გატეხს, ვერ დათრგუნავს.

— დღევანდელი გოგო-ბიჭები, ახლა რომ სკოლის მერხებს უსხედან, უფროსებზე გაცილებით მეტად ზარალდებიან ჩვენი შფოთიანი, დაულაგებელი ცხოვრების გამო. მათი ბავშვობის ხანა ასე უფერულად, უღიმღამოდ და დაძაბულად რომ მიედინება, ეს საკმაოდ ძნირ ნიადაგს ქმნის სულით მდიდარი, ძნელი ცხოვრებისათვის ყოველმხრივ შემზადებული პიროვნებების ჩამოსაყალიბებლად. განათლების სისტემის ძირეული და ფუნდამენტური შეცვლა, ბავშვებისათვის კულტურისა და დასვენების კერათა მოწყობა ასე უცებ, ერთი ხელის დაკვრით, რა თქმა უნდა, ვერ მოხერხდება. სანამ ჩვენ ამ საშურ საქმეს თავს მოვაბამთ, მოსწავლეთა რამდენიმე თაობა მაინც შეიცვლება. ბატონო აკაკი, ალბათ, გიფიქრიათ ამ პრობლემაზე. რა გზას უნდა დაადგნენ, რა უნდა მოიმოქმედონ იმ ბავშვებმა, რომლებსაც ყხვებივით ქურდბაცაცობისა და ეშმაკობისაკენ არ უჭირავთ თვალი და მართლა მონდომებულნი არიან, რომ ბავშვობის ხანა ნაყოფიერად განვლონ, დამოუკიდებელი ცხოვრების პერიოდს მომზადებულნი შეხვდნენ?

— თქვენს კითხვაში ქვეტექსტად ცხოვრების შიშის პრობლემას ვკითხულობ.

ცხოვრების შიშის პრობლემა იმ დღიდან არსებობს, რა დღესაც ადამიანი გაჩნდა. ადამიანი — ადამიანია, ცხოვრება — ცხოვრებაა და მათი ურთიერთობა მე-20 საუკუნის ბოლოსაც იხევე იწვევს მღელვარებას, როგორც ანტიკურ ეპოქაში იწვევდა. მომავალშიც ასე იქნება. სხვაგვარად შეუძლებელია. არსებობის კანონზომიერებაა ეს და იმიტომ, ამ პრობლემის სიმწვავე დღეს იმითაც ვიგრძენით, რომ საქართველოში ცხოვრება აიმღვრა. იგი ბნელი ვნებათაღელვის ასპარეზი გახდა. მაგრამ ერთი რამ არ უნდა დავივიწყოთ: როგორც დაწყნარებულ, ისე ამღვრეულ დროში ყველაფერი ინდივიდზეა დამოკიდებული, იმაზეა დამოკიდებული, ესა თუ ის პიროვნება რა ბუნება-თვისებით, რა ხასიათით გააჩინა ღმერთმა. შეიძლება ადამიანმა ბავშვობა დისნეილენდში გაატაროს, ჰარვარდის უნივერსიტეტში ისწავლოს და მაინც დუტარი გამოვიდეს. ისიც შეიძლება — ბავშვობაში ლუკმაპური ენატრებოდეს, ღარიბ-ღატაკი ოჯახის შვილი იყოს, მაგრამ მისი ნიჭისა და ჭკუის გამობრწყინებამ კაცობრიობა განაცვიფროს.

თუ ყმაწვილი მყარი ფსიქიკის

საქართველოს ეროვნული

პატრონია, მაშინ შეოთხანი, მღვრიე, დაულაგებელი დრო მის გონებას დიდ საკვებს აძლევს, ამდიდრებს და აძლიერებს.

თუ პირიქით, სუსტი, არამყარი ფსიქიკის პატრონია, მაშინ, სამწუხაროდ, მძიმე გავლენას ახდენს ცხოვრების კალაპოტიდან აგდებს და არსებობას უმწარებს.

ახლაც ასე იქნება. დღევანდელი საქართველოს ვითარება სხვადასხვაგვარ კვალს დატოვებს ყმაწვილი კაცის სულიერ ცხოვრებაში. ერთნი ცხოვრების დიდ გამოცდილებას შეიძენენ, გაკაჟებული და გამობრძმედილი ხასიათი ჩამოუყალიბდებათ. მეორენი — წელში გატეხილნი, სულიერად დაძაბუნებულნი და სასოწარკვეთილნი დარჩებიან. ამგვარ გაყოფას ვერარა ძალით გვერდს ვერ ავუქცევთ, ვერ გავექცევით.

თუ დღევანდელ ვითარებას ალლოს კარგად ავულებთ, ყველაფერს გავითვალისწინებთ, იმას შაინც შევძლებთ, რომ ჩვენი საზოგადოების დაჩაგრულ ნაწილს ცხოვრების შიში შევუმსუბუქოთ, არსებობა შედარებით გავუადვილოთ.

ცხოვრება ყველა ვითარებაში რთულია. მაგრამ, თუ ადამიანის სული თავისუფალია ბოლმისაგან, შურისა და სიხარბისაგან, იგი ადვილად ახერხებს ცხოვრების სირთულის გადალახვას. როცა გავთავისუფლდებით ბოლმის, შურისა და სიხარბისაგან, მაშინვე დავინახავთ, რომ ცხოვრება მსუბუქია, ხალისიანია, კეთილი. ყველაზე ამღვრეული და მძიმე დროც კი სავსეა ამ სიმსუბუქით, ხალისითა და სიკეთით, ოღონდ ჩვენში, ადამიანში დაგუბებული ბოლმა, შური და სიხარბე არ უნდა ამძიმებდეს მასერთი სიტყვით, პრობლემა ადამიანშია და არა მის გარეთ. თუ ადამიანს საკუთარი თავის მართვა შეუძლია, დრო მასზე გავლენას ვერ მოახდენს. რამდენადაც ადრეულ ასაკში ირწმუნებს ამას ადამიანი, იმდენად უკეთესია ეს მისთვის.

— როგორი სახით წარმოგიდგენია-ათ განათლების იდეალური სისტემა საქართველოს სინამდვილეში და რომელ ორ უნდა დავიწყოთ ამ გადაუდებელი საქმის განხორციელება?

— არაფერი იდეალური არ არსებობს. ცხადია, არც განათლების სისტემა. არის შედარებით ცუდი საგანმანათლებლო სისტემა და არის შედარებით უკეთესი. როგორი უნდა იყოს დამოუკიდებელი საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა, ამის თქმა დღეს შეუძლებელია. ამას საგანგებო შესწავლა, ანალიზი და გამოკვლევა სჭირდება.

ჩვენ დამოუკიდებელი საგანმანათლებლო სისტემა არ გვქონია. 1801 წლამდე განათლების საქმე საქართველოში მეტად ცუდად იყო. იგი მაშინდელი მსოფლიო განათლებას უნუგეშოდ ჩამორჩებოდა და, ცხადია, რომ დღეს ვერაფერს გვიკარნახებს. 1801 წლის შემდეგ, რუსეთის პოლიტიკურ ბატონობასთან ერთად, საქართველოში რუსული განათლების სისტემა დამკვიდრდა. იგი არსებობს დღესაც.

უპირველესი ამოცანა ახლა ის გახლავთ, რომ რუსული განათლების სისტემა შევცვალოთ, მაგრამ რით — საკუთარი, ქართული განათლების სისტემით თუ რომელიმე უცხოური, ჩვენთვის უფრო შესაფერისი განათლების სისტემა ვისესხოთ?

მე საკუთარი, ქართული განათლების სისტემის შექმნის მომხრე ვარ, მაგრამ ამას ძალიან დიდი დრო უნდა. ჩვენ დროის არ უნდა შეგვეშინდეს. ნელა-ნელა, თანდათანობით უნდა შევუდგეთ საქმეს. თავაუღებელი, ბეჯითი შრომით შევქმნათ ჩონჩხი მომავალი ქართული საგანმანათლებლო სისტემისა. ამ სისტემას საფუძვლად, ჩემი აზრით, სამი ძირეული დებულება უნდა დაედოს:

პირველი: განათლების მიზანია ცოდნის მიცემა ახალგაზრდისათვის. განათლება თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი იდეოლოგიური ზეგავლენისაგან, მათ შორის, რელიგიური იდეოლოგიისაგანაც. მეცნიერება არ უნდა ემორჩილებოდეს არავითარ იდეოლოგიურ დოგმატს. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავიმახსოვროთ: რელიგია ვერ დაიჭერს მეცნიერების ადგილს და მეცნიერება — რელიგიისას, მათ თავიანთი დანიშნულება აქვთ და ერთმანეთს არ უნდა დავუპირისპიროთ.

მეორე: სკოლაში ქართული კულტურის შესწავლა უნდა ხდებოდეს მსოფლიო კულტურის კონტექსტში. ჩვენ ობიექტურად უნდა ვიცოდეთ — რანი ვართ.

მესამე: განათლება უნდა ისახავდეს პრაქტიკულ მიზანს, ანუ შვიდ წელიწადს ისწავლის ბავშვი თუ ათ წელიწადს, მან უნდა შეიძინოს კონკრეტული პროფესია. ამ პროფესიის ცოდნით მას უნდა შეეძლოს დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყება. ახლა საშუალო სკოლაში გატარებული წლები, არსებითად, დროის დაკარგვაა. საშუალო სკოლადამთავრებულმა, წერა-კითხვის გარდა, არაფერი იცის. ამას ბოლო უნდა მოეღოს. საქართველოს პრაქტიკული განათლება სჭირდება.

— ხშირად გვესმის: ამერიკელი ბავშვები ჯერ კიდევ კოლეჯში სწავლისას იწყებენ დიდ ბიზნესსა და მომავალი პროფესიის საფუძვლიანად დაუფლებაზე ფიქრსო. დავუშვათ, საქართველოშიც გაჩნდა ბავშვს ასეთი სურვილი, ვთქვათ, შრომის სიყვარული და მონდომებაც არ აკლია. უწერია კი ჩვენს სინამდვილეში მის სურვილს ახდენა, თუ ჯერჯერობით ადრეა ამ თემაზე საუბარი?

— ყველგან ასეა, სადაც ცხოვრება აწყობილია. ასე იყო საქართველოშიც 1921 წლამდე; ოჯახსა და სკოლაში უნდა მოემზადოს ბავშვი საქმიანი ცხოვრებისათვის. დღევანდელ ვითარებაში, რა თქმა უნდა, ეს ვერ განხორციელდება. მაგრამ როგორც კი ქვეყანა დაწყნარდება და დალაგდება, მაშინვე უნდა მოწესრიგდეს ყმაწვილების თავისუფალი განათლებისა და საქმიანობის პრობლემა.

საქართველოს აღდგომას დღეს სჭირდება (ანბანური რიგით რომ ჩამოვთვალოთ): დრო, მოთმინება, ფული, შრომა, ცოდნა, წესრიგი. თუ ამ. ას მოვახერხებთ, დღევანდელი გოგო-ბიჭები როცა მოწიფულ ასაკში იქნებიან, იტყვიან, რომ დიდი ეპოქის შვილები არიან.

ზენაიდი სანაია ფოტო



ეროვნული ბიბლიოთეკა

რაფიელ ერისთავი

კაცი ის არის

კაცი ის არის, ვინც მისდევს
დიდის მოძღვრისა მცნებასა,
ვინც მოძმეს გულსა გაუხსნის,
თავს აციცილებს ვნებასა,
ქვრივ-ობლებს ცრემლებს
მოსწმენდავს,

მოუსპობს გაჭირვებასა,
იბრძვის და იბრძვის ერისთვის,
ქვეყანას მისცემს შვებასა!
კაცი ის არის, ვინც მამულს
გამოადგება შვილადა,
ვისაც სამშობლო ტაძრად აქვს,
თავი სამსხვერპლო წილადა,

ქვეყნისა ცრემლი ჭირად უჩნს,
მისი ლიმილი — ლხინადა,
ვინც მისთვის თავსა შესწირავს,
მას შემოავლებს ფთილადა!
კაცი ის არის, ვინც მამულს
ეტრფის და ეთაყვანება,
ვისაც ვერ დასძლევს მტრის ოქრო,
ვერც მისი მკაცრი ბრძანება,
ვისაც სამშობლოს ოხვრისთვის
ლომ-გული მოეფხანება,
ვინც დასთხევს მისთვის წმინდა
ხისხლს,

მოწამეს დაეგვანება!

თენგიზ კობერიძე

მარაბდისა და კრწანისის გმირებს

როგორ იქნება, არაგვმა
ან თვითონ მტკვარმა არა თქვას:
დავითმა როგორ ალაგმა
შმაგი ურდონი არაბთა?!
ვიცით ერეკლეს ხმლის ფახი
მოსისხლე მტერთა კარავთან,
რომლის ელვარე ლაპლაპი
მტრებს შიშისაგან ზარავდა!
გვახსოვს ხმალშიშველ ჩაუქთა
გამოფრენილი მერანნი,
რომელთა ფლოქვქვეშ მოიხრა
მტერი ავგული, ვერანი!..
ცხოვლად ანათებს მარაბდას
სხივებად დაფრქვეული მზე...
გვახსოვს, სპარსს როგორ დააცხრა
ცხრა ძმა, ცხრა ხერხეულიძე!..
სამას არაგველს, სამას ძმას
ურდო შემოხვდა მტრებისა,
შეაბარბაცეს კრწანისი,
ელვა ცას ჰკვეთდა ხმლებისა!

სამასი ლომი ეკვეთა
ასჯერ მეტ ხროვას მგლებისას...
თუმც კი დაეცნენ გმირები,
მტერს წინსვლა ვეღარ ეღირსა.

იოსებ აფციაური

ავაკის ავვანი

უხდება აკვანს ეგეთას
მთა-ბარის ხორცი და ფერი,
ლექსი — ცას, ცა ლექსს ეკვეთა,
ლექსს ქორქარივით დაბერილს.
სხვა ცეცხლი გამოიყოლა
სტრიქონმა ფირუზიანმა,
ხან მგლის მჩხვერელმა ნიკორამ,
ხან ჭალის მადლმა — იაშა.
სტრიქონმა ზურმუხტიანმა,
ზედ რომ დაადნა მთვარეო,
რომ ჩახჩურჩულა ნიავმა —
შენს ბუსნოს მიმაბარეო.

ასიმთავრული

ასომთავრულსა მთვარიანს
შავწყალი შემოპხვიოდა,
ჩამწკრივებულსა ხმლის ღარზე
ცის ნაპერწკლები სცვიოდა,
გულქანზე დაბრძანებულსა
ყვავილი ამოსდიოდა,
სამარის ლოდზე მიკუნჭვილს
მზე ჩამწუხრული სტკიოდა,
ნაცარში ამოგანგლული

ციხეებს ამოჰყიოდა,
მოაბოტებდა გორებზე,
კუპრის ზღვებს გამოდიოდა,
პირზე ეფინა ნათელი,
ცხელ ვარსკვლავებზე შხიოდა,
სწოვდა და ვეღარ სძღებოდა —
ყველგან მამული შიოდა.

მამულს

შენ ხარ ვენახი, მსხმოიარე
სულთაკრეფობას,
შენ ხარ ვენახი, აღდგომასაც
დაშაქრებული,
შენ ხარ ქარბუქში კეტამებზე
ყოილთ მეფობა,
ყინწვისმაღალი, გრემგრაგნია,
ლაშქარქებული.
სიკვდილს ვაზის ჯვრით აღუდგები
— სიკვდილი მიდის,
სიცოცხლეს სისხლით პირს დაბან და
— სიცოცხლე რჩება.
წუთისოფელი მიმოგბურავს
ფერფურით ბინდის
და ჟამთ ფარაში შენი ვოჩი
მაინც ერჩევა.

მსოფლიო კიდით—კიდემდე

ამერიკის შეერთებული შტატების სკოლებში კარგა ბანია ალარავინ მოითხოვს ბავშვებისაგან, ზურგზე ხელშემოწყობილები ისხდნენ და სუნთქვაშეკრულნი თვალს არ აცილებდნენ მასწავლებელს. ნახეთ, როგორი ატმოსფერო სუფევს ქ. მილუოკის საშუალო სკოლის ფიზიკის გაკვეთილზე, რომელზეც ახალგაზრდა მასწავლებელი ალან ხავიცკი შიდა წვის ძრავის მოქმედების პრინციპს უხსნის მოსწავლეებს. ახლა ეს ყველა დანარჩენ გაკვეთილზე. აქაურ სკოლებში გადაჭრით თქვეს უარი მეტოქეობისა და ცოდნის შეფასების პრინციპზე, რომელიც ბევრ ბავშვს საკუთარი შესაძლებლობების რწმენას უკლავდა. ახლა მასწავლებლების მთელი ძალისხმევა იქითკენ არის მიმართული, რომ სკოლა ის ადგილი იყოს ბავშვებისათვის, სადაც ისინი არასოდეს იწვნეევენ მარცხის სიმწარეს.

●

ინგლისშიც და ყველა სხვა ევროპაშიც ცამეტი წლის ჯეიმს ჰარისის ტოლი ბიჭები ცნობილი სპორტსმენების ფოტოებს აგროვებენ და სხვადასხვა წარწერებით აჭრელებულ მაცხოვრებს იცვამენ, ის კი თეთრ გაჭოჭანებულ პერანგს, მკაცრ, საჭმიან კოსტიუმს იცვამს, აუცილებლად იკეთებს „პეპელას“ და ისე გადის ქუჩაში. სხვა ბიჭებისაგან მას მაღალი სიზოგადოებისათვის დამახასიათებელი მანერები, კეთილშობილური მიბრძა-მოსვლა და ნატიფი გემოვნება გამოარჩევს. სკოლაში ყმაწვილ ჯენტლმენს მაინცდამაინც არ ულხინდა, ჯეიმსი ყველა ბიჭს სძულდა და მშობლებიც იძულებული ხახდნენ სკოლიდან გამოეყვანათ იგი და შინაური მასწავლებლისათვის მიენდოთ მისი განათლება. მაგრამ ჯეიმსმა უფრო სხვა რამით გაითქვა სახელი. შვიდი წლის ასაკში ბიჭმა უჩვეულო ნიჭი გამოამჟღავნა. მაშინ ჰარისების არისტოკრატიული ოჯახი სრული გაკოტრების პირას აღმოჩნდა და სულ ულუკმაპაუროდ რომ არ დარჩენილიყვნენ, ჯეიმსის მშობლებმა ნახმარი ნივთების პატარა მაღაზია გახსნეს. ჯეიმსს ფეხსაცმლის შესყიდვა დაეევალა. ბიჭმა ერთობ გონივრულად დახარჯა მიცემული ფული, მორჩენილი ათი პენსით კი ფაიფურის პატარა ძროხა იყიდა. ამას ხუთ პენსად ნაყიდი რალაც უცნაური საპილპილე მოჰყვა. ერთხელ ჯეიმსის მამამ გამოცდილი ანტიკვარი მიიწვია სტუმრად. უნდოდა ერთი ძველებური ძეწკვი ეჩვენებინა მისთვის. მაგრამ სტუმარმა ძეწკვს ზედაც არ დახედა, ეი ჯეიმსის ძროხა კი ოთხას ორმოცდაათ გირვანქა სტერლინგად შეაფასა. საპილპილე — ორასად, მერე ბიჭის სხვა ავლადიდებაც დაათვალიერა და მთელი მისი კოლექცია ათი ათას ინგლისურ გირვანქად შეაფასა. სხვა ნივთებს შორის კოლექციაში ძველებური ეგვიპტური გულის ქინძისთავიც აღმოჩნდა (ხუთ პენსად ნაყიდი), ოქროს ძეწკვიც (ისიც ხუთ პენსად ნაყიდი. გაწმენდის შემდეგ კი რვაას ორმოცდაათ გირვანქად შეფასებულა) ათი წლის ასაკში ჯეიმსმა ანტიკვარული მაღაზია გახსნა. [illegible] რვა წლის თანაშემწე დაიქირავა. ნორჩ ანტიკვარს საუცხოოდ მიუდის საქმეები, მეძველმანეთა დუქნებს ცამეტი წლის ჯეიმს ჰარისი თავისი „როლს-როისით“ ჩამოუვლის ხოლმე. თუმცა საკეს ბაბუაზის, რადგან მანქანის ტარების უფლებისათვის იგი ერთობ პატარაა.

●

იაპონიაში ყოველ ზამთარს ქალაქის ტიპის დაბა სუიბარაში ხიოკოს ტბა ათასობით გედის დროებით საცხოვრისად გადაიქცევა ხოლმე. აქეთ რომ იღებენ გეზს, ფრთოსნებმა იციან, რომ ერთი მამაკაცისა და ადგილობრივი დაწყებითი სკოლის ბავშვების წყალობით არც საჭმელი მოაკლდებათ, არც ზრუნვა. სიგეოს მამამ დაიწყო გედების აქ გამოზამთრება, აჭმევდა, იჩვევდა მათ და ოთხი წლის გულმოდგინე ზრუნვის წყალობით შეძლო დაერწმუნებინა ეს დიდებული ფრინველები, რომ ხიოკოს ტბაზე მშვიდად და უზრუნველად გამოიზამთრებენ. მამის საქმე მისი გარდაცვალების შემდეგ სიგეომ განაგრძო. დროთა განმავლობაში აქ მომფრენი გედების რაოდენობა ისე გაიზარდა, რომ მათი მზრუნველი შეშინდა კიდეც. ვითუ, საბოლოოდ საჭმელი ვერ ვიშოვოო. მაგრამ სიგეოს მთელი იაპონია ამოუდგა მხარში, ერთ-ერთი პირველები კი მის მოწოდებას დახმარების შესახებ სუიბარას დაწყებითი სკოლის მოსწავლეები გამოეხმაურნენ, რომლებმაც „გედების პატრული“ ჩამოაყალიბეს. გოგო-ბიჭები ყოველდღე შემოუვლიან ხოლმე ტბას, გედების ჯანმრთელობას ამოწმებენ. ისინი ქვეყნის ყველა კუთხიდან გამოგზავნილი საკვების მომზადებაშიც ეხმარებიან ფრინველთა ჭამაგს.

სიგეოც და მისი პატარა თანაშემწეებიც დარწმუნებულები არიან, **რომ ბუნების დაცვით ისინი საკუთარ თავსაც იცავენ.**



ძველი ბერძნები სარკეს ჯერ კიდევ 2000 წლის წინ იცნობდნენ. მაშინ სარკეს გაპრიალებული ლითონის ფირფიტებისაგან ამზადებდნენ.

1954 წელს არქეოლოგებმა იპოვნეს კელტი მთავრის ცოლის სამარხი. ეს ქალი 2 500 წლის წინ ცხოვრობდა. მის ძვირფას ნივთებში ლითონის სარკეც აღმოჩნდა.

იტალიაში, საბერძნეთსა და მცირე აზიაში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს გაპრიალებული ლითონის ოვალური სარკე.

მე-16 საუკუნეში ვენეციაში გამოიგონეს პირველი შინის სარკე. ვენეცია სარკის წარმოების მონოპოლისტი გახდა. სარკის ფაბრიკაში მუშაობა ძალზე ძნელი იყო. შინას ფარავდნენ ვერცხლისწყლით. მუშები ხშირად ხდებოდნენ ავად და დიდხანს ვერ ცოცხლობდნენ.

მე-17 საუკუნეში საფრანგეთშიც ააგეს სარკის ფაბრიკა, სადაც შინას ვერცხლით ფარავდნენ.

ჩვენს დროში სარკის დასამზადებლად ახალ მეთოდს იყენებენ — შინას ფარავენ ალუმინიით და არა ვერცხლით ან ვერცხლისწყლით. ამზადებენ სხვადასხვა ფორმის სარკეებს — პატარას, მრგვალს, ჩანთის სარკეებს... არსებობს სასაცილო „სარკეები". თქვენ ბევრს იცინებთ, როცა ასეთ სარკეში თქვენს გაბუშტულ სახეს, ბურთივით მრგვალ ან ჭოკივით გრძელ ფიგურას დაინახავთ.

არსებობს განსაკუთრებული სარკეებიც: ისინი მზის სხივებს თავს უყრიან ერთ წერტილში. ამ წერტილში ტემპერატურა ისეთი მაღალია, რომ წყალი დულილს იწყებს. სარკეებს იყენებენ, აგრეთვე, მედიცინაში.

გადმოცემის თანახმად, ეგვიპტის დედოფალ კლეოპატრას, როცა იგი ჯერ კიდევ პატარა გოგონა იყო, სარკე მიუტანეს. მან ჩაიხედა სარკეში და გაიფიქრა, სარკიდან სხვა გოგონა მიყურებსო. გაიხედა სარკის უკან — იქ არავინ იყო. კლეოპატრა გაბრაზდა და სარკე შორს მოისროლა.

ფსიქოლოგებმა ცხოველებზე ჩატარეს ასეთი ექსპერიმენტი: ოთხი შიმპანზე დააყენეს სარკის წინ. შიმპანზეები მალე მიხვდნენ, რომ ეს მათი ანარეკლი იყო. ერთ შიმპანზეს ყური წითლად შეუღებეს. შიმპანზემ ჩაიხედა სარკეში, წაიღო ხელი წითლად შეღებილ ყურზე და შემდეგ ხელზე დაიხედა.

სულ სხვაგვარად მოიქცნენ მაკაკები: თავიანთი გამოსახულება რომ დაინახეს, შათ სარკის უკან თანამოძმის ძებნა დაიწყეს.

მე-18 საუკუნეში მეცნიერები ბევრს კამათობდნენ სარკის ანარეკლის წარმოშობის ბუნებაზე. ახლა ყველა მოსწავლემ იცის, რომ სარკე სინათლის სხივებს ირეკლავს.

ლიანა სიორიძე

კონტინენტი. კონტინენტი ლათინური სიტყვაა და ქართულად ნიშნავს ვრცელს, ერთიანს, უწყვეტს.

ძველი ბერძნები მიიჩნევდნენ, რომ ხმელთაშუა ზღვა შემოსაზღვრულია სამი კონტინენტით — ევროპით, აზიითა და აფრიკით.

როგორ წარმოიშვა კონტინენტთა სახელწოდებები?

ავსტრალია. თავდაპირველად მას ეწოდებოდა „ტერა ავსტრალის ინკოგნიტა" (ბერძნ.) — „სამხრეთის უცნობი მიწა", შემდეგ კარგა ხანს „ტერა ავსტრალისს" უწოდებდნენ. საბოლოოდ დამკვიდრდა ტერმინი ავსტრალია.

აზია. ამ სახელწოდების საფუძველია ასირიული სიტყვა „ასუ" — აღმოსავლა, აღმოსავლეთი. ბერძნულ მითოლოგიაში იგი ღმერთ ოკეანის ერთ-ერთი ქალიშვილია.

ამერიკა. ზოგი მეცნიერი თვლის, რომ ამ კონტინენტის სახელწოდება ესპანელი ზღვაოსნის, ამერიგო კესპუჩის სახელისაგან მომდინარეობს. მაგრამ ურანგი მკვლევარის, ქან მარკუს მტკიცებით, სახელწოდება დაკავშირებულია ინდიელთა ერთ-ერთი ტომის, „ამერიკეს"-ის (ესპანურად — „ამერიკოს") სახელთან.

ანტარქტიდა. სახელწოდება მომდინარეობს ბერძნული სიტყვებისაგან „ანტ" (მოპირდაპირე, საწინააღმდეგო) და „არქტიკა" (არქტუს ბერძნულად ნიშნავს დათვს; დიდი დათვის თანავარსკვლავედი სწორედ არქტიკის თავზეა).

აფრიკა. როგორც ჩანს, სახელწოდების საფუძველია არაბული სიტყვა „ფარიკა", რაც ქართულად გამოუოფილს, გამოცალკევებულს ნიშნავს.

ევროპა. სახელწოდება მომდინარეობს ასირიული სიტყვისაგან „ერებ", რაც ქართულად მზის ჩასავალს, დასავლეთს ნიშნავს. ბერძნულ მითოლოგიაში ევროპა ფინიკიის მეფის, აგენორის ასულია, რომელიც ზევსს შეუყვარდა. ღმერთთა თავადმა ხარის სახე მიიღო, ქალიშვილი გაიტაცა და კუნძულ კრიტაზე, ფინიკიის დასავლეთით, წაიყვანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საიდუმლო ავტორიკი

ალექსანდრე ლორია

მხატვარი
ედ. ამბოკაძე

მოთხრობა

გურამმა საკმარისლიანად გაიფიქრა, რომ მათი გამოჩენა ამ მხარეში ასე გვიან, ისიც გაურკვეველი შარშრუტით, სოფლის ხალხში, ბუნებრივია, ეჭვს დაბადებდა, სახიკეთო საქმეზე არ იქნებიან ეს ბიჭები წამოსულიო, და სანდო ვერსიის ძებნას შეუდგა. უცებ გონება გაუნათლა:

— ჩვენ, ბიძია, ეს მანქანა თვითონ ავაწყვეთ პროფტექნიკუმში. ახლა გამოცდას გადის... სპორტული რამ უნდა გამოვიდეს... აი, ხაბუთებიც მაქვს...

— არა, არა, როგორ გეკადრება, ყმაწვილო! მე სულაც არაფერი მიფიქრია ცუდი. ყველაფერი კარგად მესმის, ამ შემთხვევაში, ალბათ, დროის ფაქტორსაც უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არ მესმის, როგორ შეძლებს ის ბიჭი მგზავრობას. მართალია, მანქანისა არაფერი გამეგება, მაგრამ ავადმყოფი უკვე ჩემი პროფილია. მოდი, ნახე, რა დღეშია, თუ შეუძლია ფეხზე დადგომა.

გურამი შეშფოთებული შევარდა ოთახში. ბედო საწოლში იწვა და მძიმედ სუნთქავდა. ცოტათი კი დაბრუნებოდა ფერი, მაგრამ ძალიან იყო, მისუსტებული, ენას ძლივს ძრავდა.

იგრძნო, ვიღაც რომ წაადგა თავს და ქუთუთოები მძიმედ გახსნა. რომ იცნო, ვინც იყო, თავი კედლისკენ შეაბრუნა და უხმოდ ატირდა.

გურამი დაიბნა, მასაც მოუდუნდა მუხლები, გული აუბაგუნდა. ძლივს მოახერხა, ორიოდე სიტყვა ეთქვა ავადმყოფისათვის:

— ბედო, ბიჭო, რა მოგივიდა, რა გატირებს, არ გრცხვენია? ნუ გეშინია, მე აქა ვარ.

ბედომ ისევ აქეთ შემოაბრუნა თავი. თვალებში ცრემლი უკიაფებდა, მაგრამ ადარ ხლუკუნებდა. როგორღაც მოახერხა ეთქვა, წადიო.

— უშენოდ სად უნდა წავიდე, გადაირიე?

— წა-დი!.. — როგორც იქნა, ამოღერღა ნირწამხდარმა ბიჭმა.

— არა.

— უნდა წახვიდე... პირველი... მე არაფერი მომივა... ავდგები მალე...

— ადგება, მალე ადგება, ისეთი ალარაფერი უჭირს, ხაშიში იყოს, — იმედიანად ჩაურთო მარინე ექთანმა და თავზე ხელი გადაუსვა გახურებულ ბედოს. იმან მთელი ძალა მოიკრიბა და გურამს თვალებში შეაჩერდა:

— გურო, უნდა წახვიდე. მჯერა, პირველი ხარ. წადი! მე კი... — რაღაც უნდოდა კიდევ ეთქვა, მაგარმ ხმა ჩაუწყდა, ისევ მოადგა თვალებზე ცრემლი.

გურამი უთქმელად მიუხვდა. მკერდზე მსუბუქად დაადო ხელი და შეეცადა, როგორმე თვითონაც არ გამოსულიყო წონასწორობიდან:

— შენ და მე რამ გაგვყო, ბედო, ერთ საქმეზე ვართ წამოსული. მე თუ გავიმარჯვე, არაფერზე იფიქრო, ეგ შენი გამარჯვებაც იქნება.

ბედოს იმედიანმა ღიმილმა გაკკრა სადღაც ტუჩის კუნჭულში, შეუმჩნეველმა, ფარულმა, მაგრამ გურამს არ გამოპარვია ეს და რატომღაც შვება იგრძნო. მერე უხმოდ გასწორდა წელში. ეტყობოდა, მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო, თუმცა რაღაც მაინც აჩერებდა და ფეხს ითრევდა. ბოლოს დაიხარა და ბედოს ხმადაბლა, მაგრამ ენერგიულად უთხრა:

— კარგი. მოვკვდები და პირველი მივალ, აი, ნახავ, თუ არა! შენ თავს მიხედე ოღონდ.

სწრაფად შემობრუნდა და კარებისაკენ გაემართა. მისულიც არ იყო, გაახსენდა, სხვებიც რომ იყვნენ აქ და მარდად შემობრუნდა მათკენ:

— მაპატიეთ!.. დიდი მადლობა, ექიმო!.. გმადლობთ, მარინა! თქვენს პატივისცემას ვერ დავივიწყებ.

ამათი პასუხისათვის არ დაუცდია, გავარდა გარეთ და წუთის შემდეგ გრუხუნით მიაქანებდა თავის „პანტერას“ ჩაბნელებული სოფლის ვიწრო შუკებში.

4

ისეთ პატარა ქალაქში, როგორიც გროზნოა, უცნაური მანქანის გამოჩენა შუალამით და მისი გრუხუნი თითქმის არავის გამოპარვია. ისე სწრაფად დასრიალებდა ვიწრო ქუჩებში, როგორც საკბილოს გამოდევნებული ხელიკი.

გურამმა კარგად იცოდა, რა აკრძალულ თამაშსაც ეწეოდა და ცდილობდა, სწრაფად გასცლოდა იჭაურობას, რომ ვინმეს თვალში არ მოხვედროდა.

ქალაქის სტადიონს ადვილად მიაგნო, არც „დოსაააფის“ საბჭოს შენობის პოვნა გაჭირვებია — იქვე იყო, შოედანზე, მაგრამ ვინც უნდა ენახა, იმისი პოვნა არ აღმოჩნდა ასეთი ადვილი.

ღამის დარაჯმა, გამზდარმა, წელში მოხრილმა ბერიკაცმა მხრები აიჩეჩა, რა ვიცი, სად ეშმაკებში წავიდა თქვენი გავრილოვიო. თურმე კი უთქვამს, დღეს მორიგე ვარ ღამით და ვიღაცეები მოვლენ ჩემთან და შემოუშვიო, მაგრამ თვითონ სად გაქრა, წარმოდგენა არა აქვს.

— სად შეიძლება, საერთოდ, მისი ნახვა? — ჩქარობდა გურამი.

— რა ვიცი, ჯანაბას მისი თავი და ტანი... არც სახლი ვიცი. ისე, სკაკუევი თუ გინდა, ვიცი, სადაც ცხოვრობს.

გურამს ბრაზი მოერია — როცა თბილისში განუმარტეს, როგორ მოქცეულიყო აქ. უთხრეს, შეხვალ „დოსაააფში“, რა დროც უნდა იყოს, თუნდაც შუალამით, და იმან იცის ყველაფერი. დაგირტყამს ტალონზე ბეჭედს,

დასასრული. იხ. „ნაკადული“ № 5-6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ შენ ნამდვილად მიხვედი დანიშნულ ადგილას, ჩაიწერს შენი მანქანის ნომერს და შერე უკან გამობრუნდებიო. ვინც პირველი მიიტანს თბილისში ბეჭედდასმულ ტალონს, გამარჯვებულიც ის იქნებაო... ახლა კი რა გამოდის? სად ეძებოს ის ობერი გავრილოვი? არა და, ფეხზე ძლივს დგას, თვალები ეწვის, წელი აწუხებს. გადაწყვეტილი ჰქონდა, ქალაქს დაუყოვნებლივ გასცლოდა და სადმე ქალაქგარეთ, ტყის პირას ცოტათი წაეძინა. თავდაყირა დგება ყველაფერი.

ბოლმა ახრჩობდა. ლამის ატირებულიყო ჯავრისაგან. გაგონილა? ამდენი ტანჯვა გამოიარო, ამდენი გადაიტანო, დროზე მოხვიდე და იმ ვილაც გავრილოვის გამო წყალში ჩაგეყაროს ყველაფერი?!

უცებ შენიშნა — მათკენ ვილაც დაბალი, ჩაფხკვნილი მამაკაცი მოდიოდა. ნამდვილად ეს უნდა იყოს გავრილოვიო, — შვებით გაიფიქრა გურამმა-და სანამ ის დაწესებულების სადარბაზოს მიადგებოდა, თვითონ გაეშურა მისკენ.

— თქვენ ხომ არა ხართ გავრილოვი? — ხმამაღლა ჰკითხა უცნობს მიახლოებისთანავე. იმან შიშით მიიტანა ტუჩებთან საჩვენებელი თითი და ანიშნა, ჩუმად გაჰყოლოდა უკან.

ოთახი, სადაც ის გავრილოვმა შეიყვანა, ოდნავ იყო განათებული მბჟუტავი მაგიდის ნათურით. გავრილოვმა ხვნეშით გამოსწია სკამი და მოწყვეტით დაეშვა ზედ. გურამს ერთი სული ჰქონდა, თავისი საქმე მოეგვარებინა, აჩქარებით მივიდა მის მაგიდასთან და წინ ჩამოუჯდა. რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ იმან ჩურჩულით შეაჩერა:

— ვიცი, ვიცი... არ მინდა ახსნა-განმარტება, ყველაფერი ვიცი. მაგრამ, როგორც ვხედავ, შენ არ იცი. არაფერი გაგიგია, ხომ?

— რა უნდა გამეგო? — აალდა ბიჭი. ხვდებოდა, რაღაც კარგი ამბავი არ უნდა ყოფილიყო.

— არ იცი? — თვალები დააჭყიტა გავრილოვმა. — კი მაგრამ, შენ საიდან მოხვედი?

— როგორ საიდან? თბილისიდან.

— ეგ ვიცი, მაგრამ დარიალზე არ გამოიარე? არ იცი, რა მოხდა?

— არა, მე ურსუ-მართანის გზით წამოვედი.

— რაო? — თმები ყალყზე დაუდგა კაცს. — მართანის გზით გადმოიარე კავკასიონი? შეუძლებელია! თუ ეშმაკეული ფრინდებოდი მხოლოდ!

— ეგ ხომ თქვენი საქმე არაა? დამირტყით ბეჭედი ტალონზე და გამიშვით, — ჩქარობდა ყმაწვილი.

— რა აზრი აქვს? საქმე ხომ ჩავარდა და...

— როგორ თუ ჩავარდა? — ელდა ეცა გურამს.

— ჰო, მილიცია ჩაერია.. ინსპექცია ფეხზე დგას... გავარდა ამბავი... თითქმის ყველა დააკავეს. რამდენიმე გაექცათ, მაგრამ ნომერი იციან და დახდევენ. ამსიგრძე გზაზე სად დაიმალებიან? ყველა პუნქტი გაფრთხილებულია... ვილაცამ გაგვცა.

— თქვენამდე არავის მოუღწევია? —გურამს მაინც თავისი დარდი ჰქონდა.

— იყო ერთი... ოცდამეორე... „ფიგული“.

— ვინ იყო? — აენთო ბიჭი. ერთ ადგილზე აცმუკდა.

— რა ვიცი. ძარტო იყო ისიც. ხანდაზმული კაცი, გამხდარი, ჭალარაშორეული. შავი ხალათი ეცვა, წვერიც ჰქონდა მოშვებული.

„აჰა, ის ქერივი“... — გაიფიქრა გურამმა თავისთვის და შერე ისევ თანამოსაუბრეს შეაჩერდა.

— იმის შეტი არავინ მოსულა?

— არავინ. და არც მოვლენ, დარწმუნებული ვარ... შენც მაკვირვებ... კარგი, მოხვლა მოხვლაა, მაგრამ უკან დაბრუნება არ გინდა? იმხელა ამბავია ატეხილი.... მაინც, ეგ რალისტები ხომ არაფერს დაგიდევენ: ისეთი კისრისტეხით დაჭრიან, ვინ იცის, რა აურზაური გამოიწვიეს ტრასაზე. ახლა იმის მეშინია, მეც არ გამხვიონ შარში. შენც, იცოდე, ჩემზე კრინტი არ უნდა დაძრა, ვინიცობა ჩავარდე.

გურამმა გაშმაგებით მოიქექა კეფა და შეეცადა, რამე მოეაზრებინა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა, აზრი აზრს ვერ ებმებოდა. ბოლოს მაინც გადაწყვიტა, ბოლომდე მათი „ზაკონით“ ემოქმედა და მერე რაც მოხდებოდა, იმის მიხედვით შეეცდებოდა გამომძვრალიყო მდგომარეობიდან. რიხით მოთხოვა გავრილოვს, ბეჭედი დამისვი ტალონზეო.

— რაღად გინდა? ხომ გითხარი, თამაში გათავდა-მეთქი?

— ეგ კიდევ ვინ იცის! — არ ტყდებოდა ყმაწვილი. — იქ, ადგილზე რა ვითარებაა, ჩვენ ხომ არ ვიცით? ის ხალხი, ვინც ეს საქმე ითავა, ხომ ადგილზე არიან?.. ჰოდა, დამირტყი ბეჭედი.

გავრილოვს აშკარად ეტყობოდა, არ უნდოდა ამის გაკეთება, მაგრამ ხედავდა, ეს ჯიუტი ბიჭი არ მოეშვებოდა და შეიძლება აქვე გაეხვია ხათაბალაში; ამიტომაც არ იცოდა, რა ექნა, გურამი კი არ ეშვებოდა:

— ძია კაცო, შენ შენი საქმე გააკეთე... გზაზე რა ხდება, ეს რა შენი საქმეა. ვინ ძივა-ვინ მოვა, რა შენი საკითხავია?

— შენ ეგრე თქვი და... რამე რომ იყოს...

გურამი ახლა მართლა გაცხარდა, წამოხტა ფეხზე და ისე შეხედა აწრიალებულ გავრილოვს, იფიქრებდი, ყელში წვდებაო. ისიც დაჭყვა, ხელით ანიშნა, დაჯექი, ნუ ცხარობო და მერე ჩურჩულით გააგრძელა:

— ოღონდ იცოდე, მე არაფერ შუაში ვარ.

— ვინ გადანაშაულებს? — მოლბა გურამი. — შენ ის გააკეთე, რაც გევალებოდა. დანარჩენზე იმათ აგონ პასუხი, ვისაც რა ბრალი მიუძღვის.

— რომელი გზით აპირებ? ისევ იმავეთი? — თითქოს შეაპარა თანამოსაუბრემ.

ყმაწვილმა პირდაპირ არ გასცა პასუხი. რატომღაც

ეჭვის ჭია შეუძვრა გულში და ღრღნა დაუწყო. გამომცდელი თვალით დააკვირდა ჩაფსკვნილ, ტუჩებდახქელებულ გავრილოვს და რაღაც არ მოეწონა მის გამოხედვაში. გაჭიანურებული პაუზის შემდეგ არცთუ მთლად გადაწყვეტილად უპასუხა:

— იმავე გზით რაღას წავალ, იქედან ძლივს გადმოვაღწიე. პარტნიორიც დავკარგე. ავად გახდა და საავადმყოფოში დავტოვე. კინაღამ გადავიჩეხეთ ერთგან. ისევ დარიალით წავალ. გზა კარგია. უნდა დავეწიო იმ ქვრივს, თორემ ყველაფერი დამთავრდა და ეგ არის.

— გააღწევ კი? — დამცინავი ღიმილით შეშოხედა გავრილოვმა.

— შოვახერხებ რამეს, — აგდებულად უპასუხა გურამმა და ტალონი მაგიდაზე დადო.

გავრილოვმა ზიზინით, უხალისოდ ამოაცოცა ჯიბიდან ბეჭედი, დაორთქლა და ხვნეშით დააჭირა პატარა ტალონს უკანა მხრიდან.

— მაშ, დარიალით მიდიხარ, არა? — ვითომ სხვათაშორის იკითხა, როცა ბიჭს თავისი ქალალდი დაუბრუნა, და წამოდგა.

გურამი მარტო გამოვიდა გარეთ. მწარედ ჩაეცინა, უკვე ხელოდა გავრილოვის ბოროტი განზრახვა. კარგად იცოდა, თავის დაძვრენის მიზნით დამნაშავეები სხვა დამნაშავეების დაჭერაში ეხმარებიან ორგანოებს, რათა საკუთარი ხვედრი შეიმსუბუქონ. არ იყო გამორიცხული, ამის გამო გავრილოვს იგი დაესმინა და იქვე გაეჩერებინათ, ქალაქის გასასვლელში ან ცოტა იქით მაინც. ამას რომ ფიქრობდა, გულში ეცინებოდა, ასე რომ გააცურა ის კაცი. მერე უცებ ჩაფიქრდა... რას იტყვის ბედო, ახლა მის სანახავად რომ მივიდეს და ამის გამო პირველობა დაკარგოს?! მაშინ ხომ მთლად გადაირევა... სულ არ გაგიჟდება?.. და გადაწყვიტა: უმოკლესი გზით უნდა გადავიდეს კავკასიონზე! ერთიღაა დარჩენილი: ბეჟიტა-ყვარლის გადასასვლელი. საშინელი გზაა, ყველა გაიძახოდა იმ ღლეს, მაგრამ თუკი გზა ჰქვია, რას მიქვია „პანტერას" უკანდახევა? გზა კი არა და, მთლად უგზოობა აიტანა და... გადაწყდა! მეტი აღარც უფიქრია, ჩახტა თავის მანქანაში და სწრაფად ააგუგუნა.

ვიდრე ნაცნობი გზით მიდიოდა, კიდევ არა უშავდა-რა. ხიგრილე და ნათელი სავსე მთვარე ახალისებდნენ. მერე, როცა ახალი უცნობი მარშრუტისაკენ გადაუხვია, გაუჭირდა. კითხვა-კითხვით იკვლევდა გზას, უმეტესად მაჩვენებლები და წარწერები შველოდნენ, მაგრამ ამას ბევრი დრო მიჰქონდა. მისი ერთადერთი მტერი ახლა მაინც დაღლილობა იყო. რამდენჯერმე კიდეც ჩათვლიმა საჭესთან, მაგრამ მაშინვე რაღაც ინსტინქტით იფხიზლებდა თავს. ერთ წყაროსთან ცოტა წყალი აიღო ვედროთი და გვერდით მოიდგა, შიგ ღუნღულა პირსახოცი ჩააგდო და დროდადრო გაუწურავად ისვამდა ხოლმე სახეზე, რომ იქნებ მცირე ხნით მაინც გამოცოცხლებულიყო. ერთხანს შველოდა ეს, მაგრამ მერე ველარ გაუძლო და სწორედ იქ, საიდანაც საუღელტეხილო გზა იწყებოდა, გადაყვითლებულ ხიმინდის ყანასთან შეაჩერა მანქანა. მზე უკვე ამოწვერილიყო. ჯერ მხურვალება არ მოჰკიდებოდა, მაგრამ სასტიკად სტკენდა თვალებს მისი ელვარება. თავი საბურგეზე გადააგდო და მაშინვე ფშვინვა ამოუშვა.

არ ახსოვს, რამდენ ხანს ეძინა მკვდარივით. მაგრამ ჩაესმა თუ არა რაღაც ხმაური, იმავე წუთს შეტოკდა, ასწია დამძიმებული ქუთუთოები და ცივმა ოფლმა დაასხა: ძილ-ღვიძილში ძლივს გაარჩია, რომ მისკენ რაღაც საშინელი, უზარმაზარი ცხოველი მოაბოტებდა ერთიმეორეზე გამობმული ორი დიდი თავით. ჟრუანტელმა დაუარა, გუგები გაუფართოვდა, ტვინი გაუცივდა. მუხლებმოკვეთილს, გაქცევაზე ფიქრიც კი არ ზეეძლო და ყვირილის თავიც აღარ ჰქონდა. მაგრამ თითქოს მზემ მოანათა უცებო, გაუნათდა გონება და ნათლად დაინახა, როგორ უახლოვდებოდა ცხენზე ამხედრებული ვილაც კაცი, მხარზე სანადირო თოფგადაკიდებული.

— უჰ!... — შვებით ამოისუნთქა და გაყინული სიხხლი კვლავ დაიძრა ძარღვებში.

ცხენოსანი აქაური მეველე აღმოჩნდა — ახალგაზრდა, მხიარული, შავულვაშა კაცი. გაცვეთილი ქალაქური შლაპა ეხურა გვერდზე მოგდებულად და ისე ელაპარაკებოდა ბიჭს, როგორც ძველ ნაცნობს.

— ყვარელში ბეჟიტას გავლით გინდა გადახვიდე? ეოჩალ, მაგარი ვინმე ყოფილხარ. ამ გზით ალარავინ დადის, თუ დადიან, მხოლოდ ცხენებით. მართალია, მძიმე გზაა, მაგრამ თუ არ წვიმს, შეიძლება მანქანითაც გარისკო, თუმცა გააჩნია, რომელი მანქანით. შენი „საბოდელკით, ნამდვილად არ გაგიჭირდება, ვხედავ. „ჟიგულს" მაგალითად, ვერ ვენდობოდი... ამის წინ ჩემმა სიმამრმა სცადა, მაგრამ შუა ეზიდან გამობრუნდა... თუ გაწვიმდა, მაშინ ხომ, ბოდიში, ცხენითაც ვერ გააღწევ... ისე, თუ არ გეჩქარება, შორს არ ვცხოვრობ. საუზმობის დროსაც მოატანა. მაინც მოასწრებ საღამომდე თბილისში ჩასვლას.

წინადადება მაცდური იყო, მაგრამ გაახსენდა, პირველი და მხოლოდ პირველი უნდა იყოს ავჭალის თავში იმ ოხერ პავილიონთან, პირველმა უნდა ჩააბაროს ის პრიალა ტალონი, და უცებ აჩქარდა. ისედაც ბევრი დრო დაკარგა, მზე უკვე საკმაოდ აცხუნებდა. მოისველა პირსახე ღუნღლიანი პირსახოცით, მადლობა უძღვნა მეველეს და გზა განაგრძო.

მხოლოდ ერთხელ შეაჩერა „ჯიპი" უღელტეხილზე, რომ ცოტათი სული მოეთქვა. ეგ იყო და ეგ. ისევ შეავსო ბენზინის ავზი. მცირედ დაილუკმა და კვლავ თავის საქმეს შეუდგა.

რას არ აკეთებდა, რომ არ დასძინებოდა: სახეს ისვლებდა პირსახოცით, თვალებს ისრესდა, ლოყებზე ხელისგულებს იტყლაშუნებდა, ხმამაღლა მღეროდა.

ნაშუადღევი გადასული იქნებოდა, ალაზნის ველს რომ გადმოადგა თავს და გული სხვაგვარად შეუფრთხიალდა. საქართველოს ეს ოქროს ზოდი თვალისმომჭრელად ელვარებდა. მთელი ველი ხელისგულივით გადაშლილიყო მის წინ და ანდამატივით იზიდავდა.

ძალა მოემატა, თითქოს სისხლის ახალ ნაკადს შეეღწიოს ძარღვებში. გამოფხიზლდა, თვალების წვამ გაუარა, აღარც წელის ტკივილს გრძნობდა და თავისი გაბზარული ხმით, როგორც ყვინჩილამ, ისე შესძახა მთელ ქვეყანას:

— ეჰე-ჰეეე!..

ცდილობდა, ცუდზე არაფერზე ეფიქრა.

— სულ ცოტაც!.. სულ ცოტაც!.. — თავს ამხნევებდა და გრიალ-გრიალით ეშვებოდა მთის ვიწრო, დახრამულ, ოღრო-ჩოღრო გზაზე. მთავარი იყო, როგორმე მალე გაეღწია ცივგომბორამდე და იქედან უკვე თვალდახუჭული შეიძლებოდა ხვლა.

არაფერს ეპუებოდა. არაფერს ერიდებოდა... სოფელს სოფელზე იტოვებდა უკან, ყოველგვარ ტრანსპორტს უსწრებდა, თუკი წამოეწეოდა, ხალხმრავალობასაც არ აქცევდა ყურადღებას, უკიდურესი რისკით მიდიოდა და თან მისდევდა გაოგნებული ხალხის რისხვა, ხალანძღავი შეძახილები... ქალი თუ კაცი შიშით უთმობდა გზას თავზეხელაღებულ მძღოლს.

ცივგომბორი რომ გადმოიარა, თავი უკვე შინ იგრძნო და ერთბაშად გახალისდა, მაგრამ დაეშვა თუ არა დაბ-

ლობში, გუნება გაუფუჭა თავზე გადაფრენილმა ინსპექციის შვეულმფრენმა. გაახსენდა მოსალოდნელი საფრთხე. გადაწყვიტა, რაც უნდა მომხდარიყო, თავი დაეღწია. ხედავდა, მთელი სხეულით გრძნობდა, რომ პირველი იყო. ინტუიციით იცოდა ეს, და ახლა ამის ხელიდან გაშვება თვითმკვლელობას უდრიდა.

ამ ფიქრებში კიდეც მიადგა მაგისტრალს, სადაც გზების გადაკვეთაზე ორი ინსპექტორი იდგა მოტოციკლეტთან. ერთმა მათგანმა ჭრელი ჯოხით ანიშნა გაჩერება, ისიც მაშინვე დააწვა მუხრუჭს და ზედ მოტოციკლეტთან დააყენა მანქანა. იმან, რომელმაც გაჩერება უბრძანა, ბიჭი იჭვნეულად შეათვალიერა და საბუთები მოსთხოვა.

გურამმა უდარდელად, ვითომც არაფერიაო, თამამად გაუწოდა ინსპექტორს მოწმობები. იმან გულდაგულ გადასინჯა ქაღალდები და ღიმილით მიუბრუნდა ყმაწვილს:



— კი მაგრამ, რამდენი წლის გამოდიხარ ახლა შენ?

— თექვსმეტის, — რამდენიმე თვე წაუმატა გურამმა თავის ასაკს.

— მერე? ჯერ უფლება რომ არ გაქვს მანქანის ტარების?

— ბიძია, მანდ წერია ყველაფერი... თვითონ რესპუბლიკურ სამმართველოში მომცეს ეს ქაღალდი. აი, წერია: როგორც გამონაკლისი, ეძლევა უფლება მანქანის ტარებისა მხოლოდ სპორტული მიზნითო... მეტი რა გინდათ! მანქანა ჩემი გაკეთებულია, ჩემი აწყობილი ძრავაა ახალ სისტემაზე და მევე უნდა გამოვცადო. წესი ასეა!

— ჰო-ო, — ჩაფიქრდა მილიციელი და ახლა უფრო ბეჯითად გადაიკითხა ქაღალდები. თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. —ჰო, მართალია, ასე წერია... ყოჩაღ! —იხილა შეათვალიერა ბიჭი, მერე მზერა მანქანაზე გადაიტანა და ცნობისმოყვარეობით შეეკითხა: — რომელი ნაწილებია აქ გამოყენებული, რაღაც ვერ ვატყობ... — შემოუარა „ჯიპს“ და თავისი კოლეგაც დაინტერესა. ისიც დაიხარა და კირკიტი დაუწყო ულამაზოდ ახორხლილ მანქანას.

— უჰ, რა არ გამოვიყენე!.. — გაცხარდა გურამი. — ახლა ყველაფერს ვერ გეტყვი, მეჩქარება.

— სად გეჩქარება?

— ისე კი არ არის, გამოცდაა, დროც მაქვს დანიშნული... „პერეგონი“ მოცემულ ვადაში უნდა ჩაეტიოს...

— ჰო-ო, — გაწელა ინსპექტორმა და კვლავ ინტერესით შეათვალიერა გატალახიანებული მანქანა. — წადი, შენ იცი! — აუქნია ხელი და ახლა სხვა მანქანას მიუბრუნდა გასაჩერებლად.

გურამმა შვებით ამოისუნთქა. მიქროდა და გული ამოვარდნაზე ჰქონდა. ყოველივე იმის შემდეგ, რაც გამოიარა სწორი და განიერი, მოასფალტებული გზატკეცილი სამოთხის ბილიკად ეხახებოდა. მიქროდა და მიქროდა. გამარჯვებული იყო, ამას აღრ უნდოდა ჩიჩინი! ახლა მას ქალაქის ამ მხრიდან არავინ ელოდება და ავტოინსპექტორებიც აქეთ თითქმის არ არიან. ასე რომ, ყველაფერი რიგზეა. მალე აუქცია ქალაქს გვერდი და შემოვლითი გზით პირდაპირ ავჭალისკენ გაქანდა.

გული კინაღამ ამოუვარდა საბუდარიდან, როდესაც შორიდან ნაცნობ ჰაგილიონს მოჰკრა თვალი და იქ ვერც ერთი მანქანა ვერ შენიშნა. პიკის საათმა, იხ-იხ იყო, ჩაიარა და გზა თითქმის თავისუფალი იყო. ამიტომაც ელვის ხისწრაფით წაივლანა „ჯიპი“ და ზედ პაგილიონის კარებთან მიაგდო. მოხვლეტით დაამუხრუჭა და ხწრაფად

გადმოხტა, აირბინა კიბე ჯიბეში ტალონის ძებნით, მაგრამ კარი დალუქული დახვდა და დაბნეული შედგა ბოლო საფეხურზე.

ამ დროს „ჯიპის“ წინ შინდისფერი „ჟიგული“ გაჩერდა. სწრაფად გაიღო კარები და ვიღაც უცნობი კაცები გადმოვიდნენ. ერთი უკვე ხანშიშესული იყო. ნაცრისფერკოსტუმიანი, /სუფთად გაპარსული. დანარჩენი ორი ხავსებით ახალგაზრდა იყო, ტყავის პიჯაკები ეცვათ. დაურიდებლად შემოერტყნენ გარს სერიოზული, ოდნავ შუქარანარევი სახით, თავისთავში დარწმუნებული კაცის ქცევით, დინჯად, საქმიანად.

— დაბრუნდი? — ცოტა არ იყოს, ირონიული ღიმილით ჰკითხა ხნიერმა და მხარზე დაადო ხელი, რამაც ერთბაშად გაუქარვა ბიჭს შიში. მათი მოსვლით რომ გაუჩნდა.

— საიდან გაჩნდი? — ისევ იმავე კაცმა იკითხა და ცალი თვალი „ჯიპისაკენ“ გააპარა. ენაჩავარდნილმა ბიჭმა რომ ვერაფერი უპასუხა, მანქანასთან მივიდა, გულდასმით შეათვალიერა გათხუპნული „პანტერა“ და ისევ დაბნეულ გურამს შემოხედა: — ესაა შენი განთქმული მანქანა, ამდენი ხალხი რომ აალაპარაკა?

გურამი კვლავ დუმდა, გაურკვევლობით შეპყრობილი.

— მაინც, საიდან გაჩნდი აქა, არ შეტყვი? შენ იქ გელოდებიან, ქვევით, — სულ სხვა მხრისკენ გაიშვირა ხელი კაცმა. — უჩინმაჩინის ქუდი ხომ არ გეხურა, ვერსად რომ ვერ აღმოგაჩინეს გზაზე?

— საიდან მოხვედი აქ. რომ გეკითხებიან?! — ბიჭს ეჭი შუჯლუგუნი გაკკრა ერთ-ერთმა ახალგაზრდამ, ოღონ არ იყოს, გულმოხულმა.

— როგორ თუ საიდან? — აჭიანურებდა პასუხს გურამი, რომ იქნებ მიხვედრილიყო, ვისთან ჰქონდა საქმე, რა უნდოდა მისგან ამ ხალხს, თანაც ფიქრობდა, რა ეპასუხა მათთვის. გადაწყვიტა, ისევ მაგრად დახვედროდა შემოსეულებს და საკმაოდ უკმეხად შემოხედა გვერდით ატუზულ ახალგაზრდას:

— საიდანაც საჭიროა, იქიდან... თქვენ ვინ გეკითხებათ?

კაცებმა რაღაც ანიშნეს ერთმანეთს და გაელიმათ. ხნიერმა სიგარეტი მოიძია ჯიბეში და გააბოლა, თანაც გურამს შეხთავაზა, მაგრამ იმან უარი მოახსენა, არ ვეწევიო. რამდენიმე ნაფაზის შემდეგ უკვე ხავსებით სერიოზულად შეათვალიერა იგი და ხელი გაუწოდა:

— აბა, ერთი, ტალონი მომეცი!

— რა ტალონი? — გაშრა გურამი.

— კარგი, კარგი, კარგად იცი, რა ტალონიც.

და უცებ გაარკვიეს ნირწამხდარი ბიჭი. აუხსნეს, რომ სამეგობრო ორგანოებიდან არიან. გახსნილია ყალთაბანდოთა მთელი საქმე, ბანდის მონაწილენი კი, სამწუხაროდ, ჯერ აყვანილნი არ არიან და თავისუფლად დანავარდობენ.

— შენ უნდა მოგვეხმარო, — მოკლედ მოუჭრა უფროსმა და ცოტა ხნის შემდეგ დაუმატა: — ბოლოს და ბოლოს, შენი ფული გაიტაცეს, ჩემი ხომ არა.

გურამს შუხლები მოეკვეთა. მძიმედ დაეშვა პავილიონის კიბის საფეხურზე და თავი ჩაკიდა. ჯერ არ იცოდა ნათლად, რა ხდებოდა, მაგრამ ცუდად რომ იყო საქმე, აშკარად ჩანდა. კარგა ხანს ასე დარჩა, მდუმარედ. მერე ძლივს ასწია თავი და თვალი თვალში გაუყარა სამეგობრო განყოფილების უფროსს. თითქოს თანაგრძნობა შენიშნა მის გამოხედვაში და ცოტათი გათამამდა.

— პირველი ხომ მოვედი? — იკითხა გაუბედავად და გულის ფანცქალით დაელოდა პასუხს.

ხნიერმა კაცმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და საკმაოდ შინაურულად გაუღიმა:

— ბიჭო, პირველიც შენა ხარ და უკანასკნელიც. მაგრამ რად გინდა? იმათ სულ გაიტაცეს თქვენი ფული და ახლა ყველგან ვეძებთ. არა, მაინც რამ გაგაბრიყვათ ამდენი ხალხი? შენ, კარგი, ღლაპი ხარ, მაგრამ იმოდენა კაცები?

გურამს ენა გაუქვავდა, გული ლამის გაუჩერდა, თვალებში ყველაფერი აებლანდა და თავისთვის ძალა რომ არ დაეტანებინა, წაიქცეოდა. ისევ იმ კაცმა მოიყვანა გონს, გაჩეჩილ თმაში ჩაავლო ხელი და მსუბუქად შეანჯღრია:

— ჰო, კარგი ახლა. ნუ წახდები. დროზე უნდა გეფიქრა... მაგრამ რაღას იზამ. უარესიც ხდება. ვაუკაცი ბიჭი ხარ და არ შეირცხვენ თავს. გამაგრდი და საქმეს მიხედე. აწი მაინც ისწავლი ჭკუას.

— რა ვიცი, ყოველ წელს აწყობდნენ ამგვარ რალს და... —ოხვრას ამოაყოლა გურამმა და თვალებზე მომდგარი ცრემლები მოიწმინდა.

— წავიდა ის დრო... მორჩა!

ბიჭი ხვნეშით წამოდგა კიბის საფეხურიდან, ხევდამორეული, გაყინული სახით გაჰყურებდა შორს კავკასიის მთებს და არავინ იცის, გულში რა ცეცხლი უტრიალებდა.

— უნდა დაგვეხმარო! — შემოესმა ისევ იმ კაცის ხმა. — ბოლომდე მხოლოდ ორნი მიხვედით. ისე, ძნელი არ იყო ყველას ჰოვნა და ისიც მალე აღმოაჩინეს, მაგრამ მოასწრო ტალონის განადგურება და ახლა ყველაფერზე უარს ამბობს. მუნჯივით დუმს. ვიცით, მხოლოდ შენ

ქართული საბოვანი სიტყვა-თქმანი

მწვანე კიტრივით თავი მოაქვს

იტყვიან უსაფუძვლოდ მოტრაბახეზე, ბაქიბუქაზე, ცუდმედიდზე.

ცნობილია, რომ შეფე თეიმურაზ II-ის „ხალთა ქებაში" ბევრგვარი ხილია შექებული. მათ შორისაა კიტრიც. ავტორი თავად კიტრს ალაპარაკებს, კიტრს უნდა, თავი შეიქოს, მაგრამ მიხი ნაკლი ღირსებებს აჯარბებს და რაც უნდა თავი იქოს, ხილად მაინც არ ჩაითვლება. ეი. ეს ლექსიც: „კიტრმან თქვა: „რაღა ვიკადრო საქმე ქებისა ჩემისა, მყავე და ტკბილი არა ვარ, კაცი რად მემოუვრებისა? გრილი ვარ, კაცსა გავბერავ, შერმე თავი უარ სნებისა; ვინც რომ ჩემითა გაძღების, ციება შეექმნებისა..."

არსებობს ხალხური გამოცანაც, რომელიც სრულიად აუფასურებს კიტრს: „თავი მოაქვს მწვანეთა (სიმწვანით), მუცელსა გვრემს მწარეთა". აქედან მოდის ხატოვანი თქმაც — მწვანე კიტრივით თავი მოაქვსო.

აბელას ოჩოფეხებზე უედგომა

განგებ ამაღლება დაბლისა, ვინმესთვის მისთვის უცხო თვისებათა მიეკუთვნება.

მე-19 საუკუნის შუახანებში თბილისში უცხოვრია რაკიდან ჩამოსულ ერთ კაცს, სახელად აბელას. ეს ისედაც ტანმაღალი კაცი ზოგჯერ თურმე ოჩოფეებზეც შედგებოდა და ამგვარი სეირით დაივლიდა ქალაქს. აუარებელი ხალხი აედევნებოდა თურმე. ბალღებს ერთი დღესასწაული შეუდგებოდათ. აბელას ხელობაც სცოდნია, ეკლესიათა სამრეკლოების შემკეთებელ-შემამკობელი ყოფილა. მაგრამ ამ ოჩოფებობითაც ორიოდ გროშს შოულობდა თურმე. აქედან მოდის გამოთქმა — აბელას ფეხები, რომელიც ხატოვნად შეიძლება მიეხადაგოს კაცსაც, რომელიც სხვათათვის ძაღლიდან დახედვას ცდილობს.

ღმერთმა მტრის ოჯახში შეიყვანოს უველა შავნაბადიანიო

დაახლოებით საუკუნის წინათ ჩვენში, კერძოდ, სამეგრელოში, მდაბიოს ნაბადზე ხელი არ მიუწვდებოდა, შავ ნაბადს მხოლოდ დიდკაცობა — თავადობა მოიხმარდა ხოლმე და ისიც უველა — არა, შავნაბადიანობა დიდკაცობასა და არისტოკრატობას ნიშნავდა.

მაგრამ... ვაი, მას, ვისაც ეს შავნაბადიანები ეწვეოდნენ. იმდენი საკლავი უნდა დაეკლა და ხარჯი გაეწია, იმ სტუმრიანობის შემდეგ წელში დიდხანს ვერ გაიმართებოდა. ასე რომ, ეს გამოთქმა ერთგვარ წყევლადაც დაჩკვადრდა იმხანად, როგორც ოჯახის მიტ-ანთან გასწორების, გაღატაკების სიმბოლო.

მშვიდობა სახლსა ამასა

იტყვიან ხოლმე სახლში სტუმრად შესვლისას.

გამოთქმა ეკუთვნის იესო ქრისტეს, რომელიც ასწავლიდა თავის მოწაფეებს: „და შერახვიდეთ სახლსა მას, შოიკითხეთ იგი და თქვით: მშვიდობა სახლსა ამას!"

ნერვებზე თამაში

ანუ ადამიანის გაღიზიანება. წარმოიშვა ლათინური სიტყვისაგან „ნერვუს".

ძველად განსაკუთრებულ პატივში იყო შუსიკალური სიმენიანი საკრავები. სიმს ლათინურად ნერვუსი ჰქვია. მოგვიანებით ექიმებმა ადამიანის ორგანიზმში ძარღვები რომ აღმოაჩინეს, სიმებთან მსგავსების გამო მათაც ნერვები უწოდეს. დროთა განმავლობაში კი ამ სიტყვამ მიიღო ის მნიშვნელობა, რაც დღეს აქვს. მაგალითად, „ნევროზული" ნიშნავდა ძარღვებიანს, ღონიერს, ენერგიულს. ახლა კი, პირიქით, ნერვიულია, ავადმყოფ ადამიანზე იტყვიან.

ერთს გაქვს ახლა იქაური ბეჭედდასმული ქალალდი. ძალიან გვჭირდება, იცოდე!

გურამმა უსიტყვოდ ამოიღო პრიალა ქალალდი, დამცინავი ღიმილით შეათვალიერა, როგორც უკვე გამოჭმული კვერცხის ჩენჩო და უხმოდ გადასცა გამომძიებელს. იმანაც, დაგიძახებ მალეო, და გამოართვა, მაგრამ ვიდრე თავის მანქანაში ჩაჯდებოდა და მისი მხლებლებიც შემოუსხდებოდნენ, გაქვავებულ ბიჭს ხმამაღლა გამოსძახა:

— ეგ შენი მანქანა აქ დატოვე, ნუ გეშინია, ხელს არავინ ახლებს... შენ ახლა მაგით ქალაქში არ გაიშვები. შიგ თუ რაძე გაქვს, წაიღე. ამ დღეებში ქალაქიდან არ გახვიდე!

გურამმა პასუხად ხელი ჩაიქნია, აქაოდა. ახლა ჩემთვის ყველაფერი სულერთიაო, მაგრამ უცებ გამოცოცხლდა და შეწუხებული შეწრიალდა:

— ერთი დღით მაინც უნდა წავიდე... კაცი დავტოვე სადღაც სოფელში, ავადმყოფი... სულ უპატრონოდაა...

გამომძიებელი წამით ჩაფიქრდა, მერე თანაგრძნობით შემოხედა ბიჭს და შემწყნარებლური ღიმილით გამოსძახა:

— მოდი ჩვენთან და ჩვენ გაგიგებთ ყველაფერს... დავრეკავთ... —გასწორდა მანქანაში და კარი მიიჯახუნა. მარჯვენა ხელი ფანჯარაზე შემოდო და განაგრძო: — მაგას მოევლება. შენ ახლა, ჯობია შინ წახვიდე... ხომ ხედავ, ფეხზე ძლივს დგახარ. აგერ, მოსახვევში გადი, ტაქსი გელოდება რამდენი ხანია... ამ დღეებში როგორმე რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა კომიტეტში შეიარე. საპატენტო ქალალდია შამაშენის სახელზე მოსული. კარგად იყავი! — უთხრა და მძღოლს ანიშნა, დაეძრა მანქანა.

გურამი ძლივს მილასლასდა თავის „ჯიპთან". მარტო დარჩენილი, იღლიებით ჩამოეყრდნო ძარის ძგიდეს და შიგ ჩაიხედა. მოოხრებული იყო იქაურობა: უწესრიგოდ ეყარა კანისტრები, ცარიელი ვედრო ხელი პირსახოცით, ლიმონათის დაცლილი ბოთლები, სამედიცინო პაკეტი, ბოღჩა საჭმელის ნარჩენებით, სათადარიგო ბორბალი და კიდევ ხარახურა. არ იცოდა რა ექნა ყველა ამისათვის. საჭესთან ჯდომის ძალაც არ ჰქონდა; საერთოდ, არაფრის თავი არ ჰქონდა, ფიქრიც არ შეეძლო. იდგა და უაზროდ შესცქეროდა მანქანას. ბოლოს მწარედ გაეღიმა. „ეტყობა, შოვიდა დრო, — გაიფიქრა, — ხვადაგივით გაიყვანო კაცმა ეს საწყალი „ჯიპი" და გაყიდო. სხვა რა გზა გაქვს, შე ბრიყვო ჩხაკუნა?".. გაახსენდა, იმ კაცმა პატენტზე რომ უთხრა და ცოტათი გამოცოცხლდა. რამდენ წელს ელოდა მამამისი პასუხს ძრავის ახალი მოდელის შესახებ და ვერ ეღირსა! ახლა დაუმტკიცებიათ. მაგრამ რაღა დროს! დამთავრდა ყველაფერი... იმ ოხრებმაც რომ გააბრიყვეს და ასე მწარედ გააცურეს!.. მერე, როგორ გააცურეს!... ისევ საჩხაკუნოს უნდა მიუბრუნდეს, შეტი რა გზა აქვს? ოჯახს დახმარება ხომ უნდა? რაც კი ფული ჰქონდა შეგროვებული, ამ ოხერ საქმეში ჩაყარა და ახლა რიღასი იმედი აქვს? ეჰ, რისი ბედიც არ გაქვს, იმას არ უნდა წაეპოტინო კაცი!..

ჩაიქნია ხელი და, თითქოს თავიდან მოიცილა მწარე ფიქრები, წელში გასწორდა. რწევით გაემართა მითითებული ქუჩისაკენ, დაღონებული და დასეტყვილი. შეუბვია თუ არა, იქვე კუთხეში ტაქსი დაინახა. მძღოლი საჭესთან იჯდა, ხოლო უკანა ღია კართან ვიღაც გოგონა იდგა და ცნობისმოყვარეობით შემოჰყურებდა შორიდან.

— ნონა!.. — ისე გაუხარდა ბიჭს მისი დანახვა, თითქოს დიდი ხნის დაკარგული და ამაოდ ნაძებნი ძვირფასი გულისტოლი ეპოვოს. მთლად აებლანდა თვალებში ყველაფერი, უცნაური სიმსუბუქე იგრძნო.

ქალიშვილი იდგა და უღიმოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უესექსის მეფე ალფრედი

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ადრეული შუა საუკუნეების ინგლისის ისტორიაში უესექსის მეფე ალფრედი (871-900), ერთ-ერთი ყველაზე უფრო კოლორიტული ფიგურაა.

VIII საუკუნის მიწურულს ბრიტანეთის კუნძულებს მოევლინენ სასტიკი დამპყრობლები. ესენი იყვნენ დანიელები. მათ მოიტანეს საშინელი უბედურება, რომელიც, ქამთააღმწერლის აზრით, „გაცილებით უფრო უარესი იყო, ვიდრე შიმშილი და ყინვა“.

IX საუკუნის 60-იანი წლების მიწურულისათვის ბრიტანეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი დანიელების ხელში იყო. მათ ჯერ ნორთუმბრია იგდეს ხელთ, ხოლო 867-868 წლებში აღმოსავლეთ ინგლისი და მერსია დაიპყრეს. უესექსის სამეფოს დამოუკიდებლობას საფრთხე შეექმნა. ამ რთულ ვითარებაში ტახტზე ავიდა მეფე ალფრედი.

მეფე ალფრედი ჭკვიანი და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი იყო. იგი არც დანიელების წინააღმდეგ ხელჩართულ ომს ერიდებოდა და არც კონფლიქტის დიპლომატიური საშუალებებით მოგვარებას უგულებელყოფდა.

ალფრედმა მოღვაწეობა იმით დაიწყო, რომ შეეცადა, საერთო ენა გამოენახა დანიელებთან. ამ მიზნით 871 წელს მან სკანდინავიელებს დიდი ხარკი გადაუხადა, რის შემდეგაც ისინი უესექსში კარგა ხანს აღარ გამოჩენილან — ეტყობა, მიღებული კომპენსაციით კმაყოფილნი დარჩნენ. მეფე ალფრედის ეს ნაბიჯი სავსებით გამართლებული იყო და საშუალებას აძლევდა უესექსს, სული მოეთქვა, ძალები მოეკრიბა მოსალოდნელი გართულებების შემთხვევაში.

876 წელს დანიელები ისევ შეიჭრნენ უესექსში. ალფრედმა კვლავ ნაცად ხერხს მიმართა. დიდი ხარკი გადაიხადა და მომხედურები გაიბრუნა.

878 წელს სკანდინავიელებმა სასტიკად დაამარცხეს მეფე ალფრედი და იგი იძულებული გახდა, გაქცეულიყო, მაგრამ წამითაც არ უფიქრია, ბედს შერიგებოდა და ფარ-ხმალი დაეყარა. ამჯერად ალფრედმა გადაწყვიტა, ახალი ფანდისათვის მიემართა. დანიელთა ბანაკს ძალზე შეეჩვია ერთი მოხუცი მუსიკოსი, რომელიც საუცხოოდ უკრავდა ქნარზე. იგი მალე დაიახლოვეს დანიელებმა და დაუმეგობრდნენ კიდეც. მათ არც ის უკვირდათ, რომ მოხუცი დროდადრო სადღაც იკარგებოდა, რადგან ფიქრობდნენ, რომ მას დანიელთა ნასუფრალი მიჰქონდა თავისი ცოლ-შვილისათვის. მეფე გუტრუმი და მისი მეომრები ხშირად მოხუცის ქნარის ხმაზე განიხილავდნენ თავიანთ საბრძოლო გეგმებს. მალე დანიელებმა შევსება მიღეს და შეტევაზე გადავიდნენ, მაგრამ საქსები ომისათვის გაცილებით უკეთესად მომზადებულნი აღმოჩნდნენ, ვიდრე სკანდინავიელები ელოდნენ. უფრო მეტიც: არც მათმა სამხედრო ფანდებმა გაჭრა, თითქოს მოწინააღმდეგემ ყველაფერი წინასწარ იცოდა. დანიელები დამარცხდნენ და მეფე გუტრუმმა დაზავება ითხოვა. წარმოიდგინეთ მისი გაოცება, როდესაც საქსების ბანაკში მოსულს მისთვის ნაცნობი მუსიკოსი შემოეგება. ეს იყო მეფე ალფრედი.

879 წელს უესექსსა და დანიას შორის დაიდო კომპრომისული შეთანხმება, რომლის თანახმადაც ჩრდილო-აღმოსავლეთი მიწები ერგოთ სკანდინავიელებს და მას დანიური მიწები ეწოდა, ხოლო სამხრეთ-დასავლეთი კი დარჩა უესექსის მეფეს. უესექსსა შეინარჩუნა დამოუკიდებლობა და ეს მეფე ალფრედის პოლიტიკის შედეგი იყო.

დანიელების წინააღმდეგ ბრძოლაში მეფე ალფრედის წარმატებებს, ცხადია, დიდად შეუწყო ხელი სამხედრო რეფორმამ, რომლის დედააზრიც ის იყო, რომ სახალხო ლაშქარი შეცვალეს მძიმედ შეიარაღებულმა პროფესიულმა მეომრებმა. ალფრედის მიერ ჩატარებული რეფორმებიდ პირველ ყოვლისა, მიზნად ისახავდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას. მან სცადა, შეექმნა ძლიერი სამხედრო ფლოტი, რომელიც საშუალებას მისცემდა, არ დაეშვა სკანდინავიელთა შემოჭრა ბრიტანეთში, ააშენა ძალიან ბევრი ციხესიმაგრე, რომლებშიც ჩააყენა გარნიზონები. ცოტა მოგვიანებით, როგორც ინგლისელი ისტორიკოსი ა. მორტონი აღნიშნავს, ამ ციხეთა საფუძველზე აღმოცენდა ინგლისის მრავალი ქალაქი.

ყურადღებას იპყრობს მეფე ალფრედის კანონმდებლობები. აქამდე ყოველ ანგლო-საქსურ სამეფოს თავისი კანონი ჰქონდა. მათი ერთად თავმოყრა მეფე ალფრედის სახელთანაა დაკავშირებული. ამით მან სცადა, შეექმნა საძართლის საერთო ინგლისური კოდექსი. ეს იყო მეფე ალფრედის სამართალი, რომელიც დაახლოებით 890 წელს უნდა იყოს მიღებული.

როგორც წყაროებიდან ჩანს, 90-იანი წლებიდან კვლავ განახლდა სკანდინავიელთა თავდასხმები. მათი ფლოტი 80 გემის შემადგენლობით აუყვა მდინარე თემზას ლონდონის მიმართულებით. განახლდა ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ბრძოლები უესექსსა და დანიელებს შორის, რომელიც რამდენიმე წელს გაგრძელდა და დამთავრდა მეფე ალფრედის გამარჯვებით, რაც იმას მოასწავებდა, რომ უესექსის სამეფოს უშეღალვათო ბრძოლაში შეინარჩუნა დამოუკიდებლობა. ეს მეფე ალფრედის დიდი წარმატება იყო.

ალფრედის მოღვაწეობა ამით არ ამოიწურება. საგულისხმოა მისი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა. ალფრედმა ჩინებულად იცოდა ლათინური ენა და ყოველმხრივ უწყობდა ხელს თარგმნითი საქმიანობის განვითარებას.

მერაბ კალანდაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს ხალხი მთელ ღამეს თევზაობდა, მაგრამ ვერაფერი დაიჭირა. მერე მოვიდა იესო და უბრძანა, ერთხელაც მოესინჯათ. მან შეძლო, რომ ბადე თევზით ავსებულიყო. ახლა ადამიანებს ბევრი თევზი აქვთ. დიდია იესო! მას ყველაფერი შეუძლია.

ქალაქი ჭალაში ტბიდან ამოსულიყო. ბევრი ფერადი ფანრები ციმციმებდნენ, ნავი, ნავი, ნავები, ნაპირთან. ბევრ ადამიანს ეცვა ფერადი ტანსაცმელი. „ეიტ-ეიტ-ეიტ!“ — ყვიროდნენ ბავშვები და ბანაობდა ერთმანეთს ჭალაში, ჩაბღაჯოდიო. ბიჭი და ვაჟი ფიქრობდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ ქალმა მთელი თავისი ფული ღვთის სახლს შესწირა, რადგან მადლობელია ყველაფრისათვის, რაც ღმერთმა მისცა. ამ ქალს ღმერთი უყვარს და იცის, რომ იგი მასზე ზრუნავს. ღმერთს სურს, რომ მისი მადლიერი ვიყოთ ყოველივე იმისათვის, რაც მოგვცა.

ნეტარ-ძალან ეძინა. ამიტომ ადგა ადგილიდან, ცეცხლიანი და ნაბიჯებით, ოთახიდან ოთახში ასრულებდა „ბოგანოს“ ადგილს. „ეს ბოგანო“ — ჰკითხა ერთმანეთს ერთმანეთი — ჯერ ვერ გაგიგია, ეს ვინ ბოგანოა?“ ერთმანეთს ეკითხებოდა ერთმანეთი ეს ბოგანო ვინ ყოფილა?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იესო ხალხს ღმერთზე მოუთხრობს. იგი ამბობს, რომ ღმერთს სურს, ჩვენ ერთმანეთის მიმართ კეთილნი ვიყოთ. მას არ სურს, რომ ვბრაზობდეთ ან ვჩხუბობდეთ. იესომ ხალხს ოქროს წესი შეაგონა: „მოექეცით სხვებს ისე, როგორც გინდათ, თქვენ გექცეოდნენ“. რა შეგიძლია გააკეთო იმისთვის, რომ ვინმეს დაეხმარო?

ღმერთი ნეტარ ადამიანებს ეძახის. ისინი, ვინც ადამიანებს ეხმარებიან, ოთახს ალაგებენ, ეცდებიან, ერთმანეთს ეხმარებიან, ეცდებიან ბედნიერ ადამიანებად ქცევას.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ადამიანებს შიოდათ. ერთმა პატარა ბიჭმა იესოს თავისი საუზმე მისცა და მაშინ იესომ ისე ჰქნა, რომ ეს საჭმელი ყველას ეყო. იესოს თანამოაზრენი საკვებს მრავალ ადამიანს უნაწილებენ. იესოს სხვა საოცარ საულებების ქმნაც ძალუძს!

ამ ადამიანებს ბევრი ეკითხებოდა, ეკითხებოდა ერთმანეთი. ეკითხებოდა ადამიანი ადამიანს: „ბევრია ეს ბიჭი, ბევრია ეს ბიჭი! „ეკითხებოდა ადამიანი ადამიანს: „ეს ბიჭი — იგი ალბათ ჯადოქარია! ეკითხებოდა ერთმანეთს ბრბე ბრბეს: „ეს ბიჭი ეს ბიჭი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა ფშაველა



ზაფხულის სიზმრები

I

ზაფხულს ეძინა. როგორი ბედნიერი, როგორი შშვენიერი იყო მაშინ: მზის სხივით განათებული ჰქონდა ბადრი სახე. ღმერთო! როგორ მდიდრულად იყო მორთულ-მოკაზმული მისი ტანი! აუარებელი გროვა ყვავილთა ეფინა გულ-მკერდზე; ათასი დიდრონი ზეები, დიდრონი მოხუცი მუხიდან დაწყებული ვარდის ბუჩქამდე, რომელზედაც ბულბულები ჯალობდნენ; აუარებელი ფრინველთა გუნდი — ამაყი არწივიდან დაწყებული — ნიბლია, ნარისჩიტამდე, ჯოგი-და-ჯოგი ირმებისა, შვლებისა, ჯეირნებისა დანავარდობდნენ იმის კალთაზე; იქვე დაბობლავდა უმადური დათვი; იქვე თვალებს აელვებდა მამაცი ვეფხვი. რა ცხოველს იტყვით, ან რა მწერს მოიგონებთ, რომ იმის ძუძუთა და რძით არ იკვებებოდა?!

ზაფხულს კი ეძინა შშვიდი, ტკბილი ძილით. მის მკერდზე იყო გადაჭიმული გრძელი, თვალგადაუწვდენელი ხნულები, ყანებით დაფარული. ისინი ზღვასავით ღელავდნენ, იმათ თავს დასტრიალებდა ადამიანი გალესილი ნამგლით და ცელით; იქვე უთვალავი ვენახები და ზვრები, ყურძნით დატვირთულნი, წელში ტყდებოდნენ, იზნიქებოდნენ. უზარმაზარი მთები აყუდებულიყვნენ, თავზე თოვლისა და ყინულის გვირგვინი ედგათ, ხოლო დაბლა ხაიალაღო ადგილები მოსჩანდა, სადაც აუარებელი ცხვარი, ძროხა დაფენილიყო და ძოვდა ხშირს, მაღალს ბალახს. შორს ამწვანებული ტბებისა და მდინარეების კიდეები მოჩანდა. ტყე, ფოთლითა და ნაყოფით შემოსილი, კმაყოფილად იცქირებოდა. როგორ უყვარდა ყველას ერთმანეთი: ბალახი ბალახს ეკონებოდა, ხე — ხეს, ყვავილი — ყვავილს, „მწერი" — მწერს, ხმელს, დამპალს ყუნჭს სოკო გამოჰხვლოდა და ისე ეკეროდა გულზე, როგორც შვილი დედას. როგორ საამო სანახავი იყო მაშინ ყველა: მსუქანი, კოხტა, ლამაზი, ყველა მხიარული, თამამი, ამაყი!..

ზაფხულს კი ეძინა.

II

ეძინა ზაფხულს და ხაშინელ სიზმრებს ხედავდა. ზოგჯერ იმის გული ჭკვნესოდა, ბაგაბუგი გაჰქონდა და მძინარ თვალთაგან ცრემლის ნაკადული ჩამოსდიოდა, მაშინ ცაზე ელვა კრთებოდა, ღრუბლები ირეოდა ერთმანეთში და გრგვინვა, ქუხილი ისმოდა. ხაშინელს სიზმარს ჰხედავდა ზაფხული და გული იმიტომ უკვდებოდა, ხაშინლად შეძრწუნებულ-შეშინებული იყო.

რას ხედავდა ზაფხული? რა აღონებდა მას? რა აშფოთებდა? იცით რას? ზაფხული ჰხედავდა, რომ მთელი მისი ხიშლიდრე, მისი ქონება იღფში; მთები ინგრეოდა, ზეები ტყდებოდა; მდინარენი, ზღვები, ტბები დამშრალიყვნენ. მრავალთ-უმრავლესი ფრინველი თუ ნადირი ეყარა მკვდარი უპატრონოდ მთასა თუ ბარსა; თითო-ოროლა თუ სადმელა დასანსალებდა, ისინიც ფერდი-ფერდზე გაკრულნი შიმშილ-წყურვილით; რიყედ და ქვიშად ქმნილიყო მთელი დედამიწა. თავს დასცქეროდა მოღრუბლული ცა; თოვდა, ციოდა, ქარტყვრებოდა. „ოხ, ღმერთო! — თქვა ზაფხულმა — რატომ არ ვკვდები? რას ჰხედავს ამას ჩემი თვალები?"

მართლაც ხიკვდილს ნატრულობდა ზაფხული. უჭირდა ხუნთქვა. გულში ჰბორგავდა, ცვნესოდა ღრმად თვალებიდან ცრემლი დაპალუპით გადმოსდიოდა, მიშველეთო, — უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა



დაეძახნა, მაგრამ ხული ყელში ებჯინებოდა. ძილი შეუძლებელი იყო, უნდა გაელვიძნა, გაიღვიძა კიდევაც, თვალები გააბილა და რა ნახა? ნახა, რომ მთელი არემარე გადალესილა თოვლით. ეუცხოვა ტყე, ეუცხოვა მთები, ეუცხოვა ჭალა-ჭალაკები, პატარა სერები; ეუცხოვა თავის ხაყვარელი ვარდის ბუჩქიც, რომელსაც დღეს ფოთოლიც აღარ შეჰრჩენოდა, ყვავილს ვინ იტყვის! მკვდარი არაყინ ჰპოვა, ყველანი ცოცხლები იყვნენ. ფრინველებიც და ნადირნიც, მისი ხაყვარელი შვილები; ირმებს დააცქერდა და თითქოს ეუცხოვა, ფერით წითლები იყვნენ და რამ გაალეგავა? ველარც მხუკნები არიან, დაღონებულან. შეპხედა მაღალ მთას, გადაავლო თვალი ჯიხვებს, — იმათაც ფერი ეცვალნათ. ფრინველნი გაბუზულან... აღარსად ერთი ბუზი, აღარსად ერთი მწერი. ყური დავუგდო, იქნებ ბულბულის ბალობა გავიგონო და მით სული დავიტკბოვო. მაგრამ აღარ იღებდა ბულბული ხმას, მდუმარებდა.

„ვაჰშეო!" — წარმოთქვა გულამოსკვნით და თავი მიწას მოაფარა. ზედ გადაეფარა დიდი, უზარმაზარი ხიგრძე-ხიგანით საბანი და... მშვიდად, ტკბილად ეძინა. სიზმარიც მისი ტკბილი იყო. მის გონებაში ბუნება ისევ ჰყვაოდა და მწვანობდა. ყველა სულდგმული ხარობდა, მკერდი სიამოვნებით უცემდა... ზედ კი დიდი თეთრი საბანი ეხურა, დიდი, უზარმაზარი. ამ საბანზე ეტყობოდა ნატოტარი ირმისა და ვეფხისა და სხვა ათასი ცხოველის, ნაკლანჭარი ათასის ფრინველისა, — ზედ ენავარდნათ.

ზაფხულს კი მშვიდად, ტკბილად ეძინა.

გამოღვიძეთ მე ვარ, გალმიან შენ...

გამოღვიძეთ მე ვარ, გალმიან შენ
შუაზე მოდის მდინარე,
ხიდი არ გვიძევს წყალზედა,
ფიქრი გვკლავს მოუთმინარე.

მინდა გაკოცო, მაკოცო,
შენს სახეს ეხედავ მღიმარეს,
მაგრამ ვერსაით გამოველ
ამ სატიალო მდინარეს.

მეც უნავო ვარ, შენაცა,
ცურვა, არ ვიცით, ვტირითა,
მეშველიც არვინ გვიწნდება
არც ციდან, არცა ძირითა,

შენ მე მიმელი, მე — შენა
გაცინებულის ჰირითა,
ველარც ხმას გაწვდენ, გითხრა რამ,
მდინარე ბრაზობს, ღრიალებს,

ჩემს ძახილსა ნთქავს მის ზვირთი,
როგორ შავადა ტრიალებს!..
რა უნუგეშო ყოფნაა,
წელთა სვლა მხოლოდ მზერაში;

რომ მოვკვდე, ბევრით ჯობია,
მაინც გარგიკარ ვერრაში!..
არა, ის მინდა, გხედავდე,
ნუგეშსა ვპოვებ ცქერაში.

(1895 წ.)

წიწილა მიაქვს ძერასა

წიწილა მიაქვს ძერასა,
უყურე ბედისწერასა!
ჰატრონი ხტირის, იძახის:
ველარას ვუშველ, ვერასა!
ჰატრონზე შეტად წიწილა
დაჰნანებია შელასა.
მოდი, ნუ ჩაუფიქრდები
მუხთალი ხოფლის დენასა!

(1890 წ.)

ჯურის დამზადება

ინის შესანახ დიდი ზომის ჭურ-
ში იმერეთში (და მთელ დასავლეთ საქართველოში) ჭური ეწოდება, ჭურის მკეთებელ ხელოსანს კი — მეჭურე. ამ ტერმინთანაა დაკავშირებული წარმოების ამ დარგის სახელიც — მეჭურეობა.

ჭურს შრომელი გლეხები მთელი წლის განმავლობაში ამზადებენ. მიწის დამუშავებასთან ერთად, მეჭურეობა მამაკაცის ხელობად ითვლება.



თიხისაგან დამზადებული ნებისმიერი ჭურჭლის ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორაა დამუშავებული და მომზადებული საჭურე მიწა. კარგად აზელილი მიწა ხელოსანს კარგად ემორჩილება და ჭურჭელი იოლად იძერწება. მიწის აზელა ძალზე შრომატევადი და რთული საქმეა.

იმერეთში ჭურთან დაკავშირებით არსებობს მდიდარი ტერმინოლოგია. ტერმინები: „მოთითვა", „ამოთითვა", „გათითვა", „გალესვა", „შებეჭვა", „შეყელვა", „დაფარფლვა" და ა. შ. — იმ სამუშაო პროცესებზე მიუთითებს, რომლებიც თანამიმდევრობით მიჰყვებიან ერთიმეორეს, მიუხედავად ჭურის ზომა-მოცულობისა; ხოლო ტერმინი „დაკუტება" — დაბინავება ჭურის შენების დამთავრებას ნიშნავს.

მორგვზე ერთი მტკაველის სიმაღლეზე ჭურის ძირის — „კუნჭულის" აშენების შემდეგ იგი იდგმება სპეციალურ სადგამზე, ე. წ. „საკუნჭულეზე" (თიხის ან რკინის) ან ხის სკამში (პირველად — მაღალ სკამში, შემდეგ კი — დაბალში). ჭური დაახლოებით 70 სმ-ის სიმაღლეს რომ მიაღწევს, ხდება მისი ე. წ. დაკუტება-დაბინავება. დაკუტებულ ჭურს იმ მიზნით, რომ უძრავად იდგეს და რომელიმე მხარეს არ გადაიხაროს, უკეთდება (ედგმება) კრამიტები, რომელთაც „ბიგები" ანუ „მუნჯები" ეწოდება. მუნჯების შეყენების შემდეგ მას „საფერხე" უკეთდება, რომელზეც მეჭურე ჭურის შენებისას დგება. ჭურის შენებასთან ერთად საფერხე მაღლა იწევს და ხარახოდ იქცევა ხოლმე.

ჭურის დამზადება რამდენიმე ეტაპისაგან შედგება. ამიტომ მეჭურე ერთდროულად რამდენიმე ჭურს აკეთებს, ჩვეულებრივ, იმდენს, რომ ერთი ქურა გაივსოს. საშუალოდ, მეჭურე ერთდროულად 10-15 ჭურს აკეთებს, ხოლო ის, ვისაც დიდი ბინა და დიდი ტევადობის საწვავი ქურა აქვს, 20-25 ჭურს. მორგვიდან გადმოღებულ ჭურის კუნჭულოს ბაბიეკალას ფოთლებს აფარებენ, რათა ზედმეტად არ გაშრეს, წებოვნება არ დაკარგოს, და „მოქნას" ხელი არ შეუშალოს. რამდენიმე კუნჭულოს დამზადებისა და შემოფოთვლის შემდეგ მეჭურე იწყებს ჭურების მოქნა-შენებას. კარგი ამინდის დროს დღეში ერთხელ და ორჯერ შეიძლება მოქნა-შემოქსოვა; ღრუბლიან ამინდში დღეში ერთხელ.



გამოშვებით შემოაშენებენ ხოლმე, წვიმიანში კი — სამ დღეში ერთხელ.

ჭურის მოსაქნელი „ფთილა" — „ხორსოლი" გაცილებით დიდია, ვიდრე ჭურჭლის მოსაქნელი ფთილა; მისი სიგრძე 80-100 სმ-ია. კუნჭულოს მოქნის დროს მორგვი წაღმა ტრიალებს, გაწმენდის დროს კი — უკუღმა, ხოლო დაკუტებული ჭური უკვე ბრუნვის გარეშე შეიდება.

ერთ შემოქნაზე მეჭურე ერთნაზევარი მტკაველი სიმაღლის კედელს აშენებს. თითო შემოქნაზე ჭურს შეიძლება დასჭირდეს ერთი ან რამდენიმე ფთილა, რაც ტევადობაზეა დამოკიდებული. თუ ჭურს შენების დროს ნაპირები შემოაცხა, მაშინ მეჭურე სველი ხელებით ნამავს გადასაბმელ ადგილს და შემოქნას ისე იწყებს.



ჭურის, ქვევრისა და ქოცოს დამზადების ტექნოლოგია ერთნაირია. ყოველ მათგანს ასაშენებლად ერთნაირი, ე. წ. საჭურე მიწა სჭირდება.

იმერეთში დღეისათვის შხოლოდ კუნჭულოიან ჭურებს, ქვევრებსა და ქოცოებს ამზადებენ. წინათ კი, როგორც მოხრობელთა გადმოცემით ირკვევა, ბრტყელძირიანი ჭურებიც უკეთებიათ. ჭურის კეთების ბოლო პროცესია ფარფლზე — ბაკოზე გამკეთებელი ხელოსნის გვარისა და სახელის ინიციალებისა და დამზადების თარიღის ამოტვიფრვა-ნაბეჭდვა, რის შემდეგაც ჭური მზადაა გამოსაწვავად.

ჭურებს წვავენ სპეციალურ ქურებში, იწვება სამი დღის განმავლობაში 700-800 ტემპერატურაზე. გამოწვის დამთავრების შემდეგ ხსნიან ქურის პირს და ქურის გაგრილების შემდეგ გამოაქვთ მზა ნაწარმი.

ცისანა კაკაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერლის გახსენება



შიო არაგვისპირელი

შიო არაგვისპირელი სამწერლო ასპარეზზე გასული საუკუნის 90-იან წლებში გამოვიდა და მაშინვე მკითხველი საზოგადოების ყურადღება მიიპყრო მხატვრული სისადავითა და და სიუჟეტის ლაკონიურობით. მას მალე გამოუჩნდნენ დამფასებლები, რომელთა შორის ერთი პირველთაგანი აკაკი წერეთელი იყო. ხოლო ილია ჭავჭავაძემ ფართოდ გაულო „იგვერიის“ რედაქციის კარი ახალგაზრდა ნიჭიერ მწერალს: 1891 წელს „იგვერიაში“ დაიბეჭდა ეტიუდი „ახალწლის დამე“. მალე მას მიჰყვა „სოფლად“, „აბრეშუმის ცხვირსახოცი“, „ჩემო შვინდავ“ და სხვ.

შ. არაგვისპირელი თემატურად მრავალფეროვანი მწერალი იყო. იგი შეეხო თავისი დროის თითქმის ყველა მტკივნეულ საკითხს, რომელთა შორის უპირველესი ადგილი ეკავა ადამიანის რაობისა და საზოგადოებასთან მისი დამოკიდებულების საკითხის გარკვევას.

მწერლის თითქმის ყოველ ნაწარმოებს ამშვენებს ბუნების სურათები. ბუნება ზოგჯერ მიმზიდველი და დამატკბობელია, ზოგჯერ კი — ულმობელი და მრისხანე. ჰეიზაჟის ოსტატური დახატვით მწერალი გვიჩვენებს ადამიანთა შინაგან სამყაროს, იგი მკითხველის ემოციას აძლიერებს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია „ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო“, „ესაა ჩვენი ცხოვრება“, „მიწაა“ და სხვ.

შ. არაგვისპირელი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო და ყოველთვის სიხარულით ხვდებოდა ჩვენს ქვეყანაში სკოლისა თუ ბიბლიოთეკის გახსნას.

ცნობილი მწერალი ვასილ ბარნოვი შ. არაგვისპირელს „ფროთხანი სიტყვის ოსტატს“ უწოდებდა. ხოლო ია ეკალაძე წერდა: „შიო არაგვისპირელი ერთი რჩეულთაგანია ქართველ მწერალთა შორის, ვინაიდან ვერ მიჩვენებთ ვერცერთ მის ნაწარმოებს, რომ სათნოების ცრემლით განბანილი და კაცთმოყვარეობის გრძნობით არ იყოს გაშუქებული“.

დასაფასებელია შიო არაგვისპირელის ღვაწლი, იგი ბრწყინვალე ნოველისტი, მორალისტი და უბადლო ფსიქოლოგი იყო. „ადე, ჩამოვიდა!..“, რომელსაც აქვე წაიკითხავთ, მისი ერთ-ერთი მშვენიერი ფსიქოლოგიური ეტიუდია.

შალვა მარკოზაშვილი

„ადე, ჩამოვიდა!..“

გოგია შეწიხქვილე გულხელდაკრებილი მივიდა წიხქვილის ქვასთან და ალას კვირისტავებით მიეყრდნო. იმან გადაბედა ქვის გარშემო სუფთად მოგვილ საბრილეს, მერე ალაში ჩაიხედა, რომელიც საბრილესავით სუფთად იყო მოგვილი და, უკმაყოფილოდ თავის ჩაქნევის შემდეგ, კრიჭას გაშტერებით დაუწყო მზერა. სულ ერთ წამს არ უმზერია ასე გაშტერებით, რომ გადაალაჯა და კრიჭას ძირიდან ხელი ამოაკრა. კრიჭა მოხვდა ხვიმირს და ისეთი ხმა გამოიღო, რომ გოგია მიხვდა, ხვიმირში არა ყრია-რაო. სარეკი კი, რომელიც კრიჭასთან ულლით იყო დაკავშირებული, ოდნავ შეთამაშდა და ქვაზე რაკრაკი დაიწყო. ხვიმირის ხმას მაინც არ ერწმუნა გოგია. ის შესდგა წიხქვილის ქვაზე და შიგ ჩაიხედა, თანაც ხელი მიუსვ-მოუსვა შიგნიდან ხვიმირის გვერდებს და რადგან ხელში არა მოხვდა-რა, რამდენჯერმე მაგრად დაარტყა ხილა, მაგრამ იმან მაინც ცარიელის ხმა ამოიღო...

„ფუი!...“ — მწარედ გააფურთხა გოგიამ და უკანვე ძირს გადმობიჯა ფეხი.

ღლეს რამდენჯერ გამოუჩხრეკია წიხქვილის ყველა კუთხე, ძირი ალმა უქნია, მაგრამ აგერ ეხლაც ისევ მიდის და სჩხრეკავს. მიიარ-მოიარა ყველა კუნჭული, გაჩხრიკა ყველა სამინდე კოდი, კასრი და ხოკრი; რამდენჯერმე გადააგორ-გადმოაგორა ლიტრიანები, მაგრამ კიდევ მაინც ვერ დაკმაყოფილდა. ის დაღრეჯილის სახით მივიდა წიხქვილის ქვასთან და მოწყვეტით ალაზე ჩამოჯდა; ნიდაყვები მუხლებზე დაყრდნო და ორივე ხელი თავის დამძიმებულ თავს ბოძკინტად შეუყენა.

რას ეძებდა გოგია ასე მოუსვენრად?

ფქვილს, ფქვილს და ფქვილს!

გუშინ უკანასკნელი ნახევარი თეფში ფქვილი ხმიადად გამოაცხო და გუშინვე შეჭამა, ღლეს კი აგერ დაწანწალებს და აქა-იქ, სადაც წინად მრავლად იყო ფქვილი, დაეძებს, მაგრამ ყველა ის ადგილი, ყველა საფქვილე ავეჯეულობა დაწმენდილი და დარაკრაკებული ხვდება. „ერთი ბეწო მაინც იყოს სადმე!..“ — უსიტყვოდ იძახდა ყოველი გაჩხრეკის დროს, მაგრამ ეს „ერთი ბეწოც“ არსად იყო, ფქვილის ნაალაგევიც აღარას ეტყობოდა...

— შე დალოცვილო, ღმერთო, ერთი კიდევ გამაგონე ჩემი წიხქვილის გოგეის ხმა და მერე თუნდ!.. — ხმამაღლა წარმოთქვა გოგიამ კარგა ხნის შემდეგ და საფქვილე პირს გვერდზე შეხედა, საიდანაც, თითქოს ამ სიტყვების შემდეგ, ელოდა, ფქვილი გადმოიფანტებაო, მაგრამ ქვა არ იძროდა და საფქვილეც შეუგანგლავი შესცქეროდა გოგიას. „ეჰ!“ — გულჩაწყვეტით ამოიოხრა, რაკი ფქვილი ვერ დაინახა და თავი ისევ-ისე ხელებს დაყრდნო და იატაკის პატარა ნახერეტიდან ლურჯად ამომჭვრეტ ყინულს ჩაფიქრებით მზერა დაუწყო.

ვარედან კი მარქაფაზე გადამჩქეფი წყლის შუილი შემოისმოდა და გოგიას ათასგვარ ფიქრს უბადებდა თავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში, წარსულს უღვიძებდა და აგონებდა იმ დროს, როდესაც მოცლა აღარც კი ჰქონდა, რომ ცოტახანს შეესვენა და სული მოებრუნებინა, როდესაც იმის წისქვილის კარზე ურმების ჭრიალი იდგა და საკვე საცალოები შეჰქონდათ და გამოჰქონდათ.

გოგია თანდათან გაიტაცა ამ მოგონებამ და სულ დაავიწყდა ეხლანდელი დრო.

ესმის გოგიას, რომ დატვირთული ურემი ჭრიალით მოადგა კარს. აგერ, ტომრების შემოტანაც უშველა და მინდის აღება დაიწყო. მერე, რამოდენა მინდს იღებს?! თითქმის ერთი დიდი სიმინდის კასრი აავსო და გაბრწყინებული დასცქერის. იმის სიხარულს საზღვარი აღარა აქვს. უხარიან, რომ ამ ზამთრის საგძალი იშოვა. იმდენი ერგო მინდში, რომ ზაფხულამდის მიჰყვება ეს და ზაფხულში კი, ღვთის მადლით, ახალი მოვა.

ხვიმირი კიდევაც ააკვეს და ეხლა ღარში წყლის მოგდებაღა აკლია, რომ წისქვილმა მუშაობა დაიწყოს...

რამოდენა საფქვავია აქ! — დაბნეულად წამოიძახა გოგიამ და თავი ისევ ჩაკიდა.

— რას ამბობ, კაცო, საფქვავი, აბა, სადა გაქვს?! გაკვირვებით შეხედა გაყინულ წისქვილის ქვას და ჰარკი მოიხსნა.

— საფქვავი?! არ არის?! — გაკვირვებით დაეკითხა ახლად მოსულს და აქა-იქ თვალების ცეცება დაიწყო.

უეცრად შეწყდა სანატრელი ხმა წისქვილისა. აღარ ისმის სარეკის რაკრაკი და აღარც ქვის გუგუნი. გარედან მარტო მარქაფაზე წყლის შუილია შემოისმის.

— უჰ! — გულჩაწყვეტით წამოიძახა გოგიამ, როცა დარწმუნდა, რომ ის სანატრელი ხმა, რომელიც სულ რამდენიმე წუთის წინათ ესმოდა და აღტაცებაში მოჰყავდა, მოჩვენება იყო, და შმუშვნით წამოდგა.

— აბა, შენი ჭირიმე, გოგი, დროით დააბრუნე, თორემ შინ სახლობა სიმშილით მიწვის!

— ხორბალია? ჰა!.. სად გიშოვია?.. — ზედიზედ დაკითხა და პასუხს აღარ დაუცადა, ისე გავარდა გარეთ და წყალი მარქაფაზე საჩქაროდ მოწყვიტა.

ახლად მოსულმა ხორბალი დააყარა და ქვამ ჩქარ-ჩქარი გუგუნი მორთო.

წელან თუ მოჩვენება იყო, ეხლა ნამდვილია!.. ეხლა ნამდვილად ესმის გოგიას ეს სანატრელი ხმა. ღმერთმან უსმინა და აუსრულა თხოვნა: კიდევ გააგონა ტკბილი ხმა... ხომ აუსრულა ნატვრა და მაშ, რაღად შესცქერის ანე დალონებული და მობუზული მბრუნავ ქვას?!

„შე დალოცვილო ღმერთო, ერთი კიდევ გამაგონე წემი წისქვილის ქვის გოგვის ხმა და მერე თუნდ..." ინატრა წელან და, აჰა, აკი გაიგონა!..

არა, შესცდა წელან, ეხლა ნანობს, რომ მაგრე ინატრა და არა სხვანაირად. „წისქვილის ხმის გოგვის ხმის" გაგონება იმისათვის უნდოდა გოგიას, რომ მინდი აელო და თავისი მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინა, სიმშილი მოეკლა. იმას უნდოდა, ამ ნატვრით გამოეხატნა, რომ საფქვავი ბევრი მოვიდეს და არა მარტო ხმა გამაგონეო, თორემ „წისქვილის ქვის გოგვის" ხმის გაგონება რომ სდომებოდა, განა უსაფქვაოდ კი ვერ მიუგდებდა წყალს და ქვას ხრიალს ვერ დააწყებინებდა?!

ვინი ბრალია?! როგორც ინატრა, ისე აუსრულდა. აკი ამისათვის ხმას არ იღებს და მარტო დალონებული შესცქერის ფქვილს, რომელსაც ერთ მუჭასაც ვერ მოაკლებს:

გოგიამ ღარის თავიდან ჩქარა აიღო ფიცრები და მარქაფას ჩაუწყო, რის შემდეგაც წყალი ღარისაკენ გაქანდა და... და... ცოტა ხანიც და ბორბალმა წყალი ააქაფა, ააშფოთა და წვრილსა და მსხვილ მბრჭყვინავ წინწკლებს წისქვილის ქვეშ გაბმით ფანტვა დაუწყო. სარეკი წისქვილის ქვაზე არაკრაკდა, რის გამოც კრიჭა ინძრევა და ხორბალს, თითქოს სთვლისო, მარცვლობით ქვის ყელში ჰყრის. ქვა კი გუგუნებს, გუგუნებს და ყოველ დაგუგუნებაზე საფქვილე პირიდან ბღუჯა-ბღუჯა ფქვილი გადმოდის და ალაში ხრიალით ჩააქვს. ქვის გუგუნი, სარეკის რაკრაკი და წყლის შუილი ერთად ერთდებიან და ერთგვარი ხმა გამოისმის, რომელმაც გოგიას გულში განუსაზღვრელი სიხარული აღძრა. ღმერთო, რამდენი ხანია, რაც გოგიას ეს სანატრელი ხმა არ სმენია! ეხლა ასმინე და აგერ, როგორ აღტაცებით სულგანაბული უსმენს ამ ნეტარ ხმას, აღტაცებისაგან თვალთ ცრემლი მოსდის...

— გოგია! — ამ დროს დახმახა ერთმა ჰარკაიდებულმა შუა ხანში შესულმა კაცმა, რომელიც ის-ის იყო წისქვილში ხელების ფშვნეტით შემოვიდა და გოგიას თავს წაადგა.

— ჰა!.. საფქვავი მოიტანე?!

— ჰო!..

— გვიან მოგერგება ჯერი, ხვაგან წაიღე, ვერ ხედავ,

ხირცხვილით როგორ ხოხოვოს მინდი ნახევარ კოდ ხორბლის გამოფქვაში?! ღმერთი აღარ არის?! მაგრამ რა ქნას, რომ სიმშილი ძალას ატანს?!

ფქვილის დანახვაზე მუცელმა სულ კაკანი დაუწყო და სიმშილი უფრო გაუცხოველდა. გოგია ხმის ამოუღებლივ გატრიალდა და გარეთ გავიდა, რომ ფქვილისთვის აღარ ეცქირნა. ხორბლის პატრონი კი მზარეულობზე წამოწოლილიყო და გაჩაღებული ბუბრისათვის ზურგი შეექცია. იმისი ღრმად ჩანაოჭებული შუბლი ამტკიცებდა, რომ არც ის იყო საამო ფიქრებით გატაცებული...

გოგია დაჩაგრული სახის გამომეტყველებით, შობუზული და გულხელდაკრებილი, წისქვილის ქვას აეტუზა. სითბოგამოლეული მზის სხივებისაგან თვალებჩაჭუტული უსიცოცხლოდ გასცქეროდა ალაზნის ველს, რომელსაც თეთრი ზეწარი გადაკროდა და ბზინვა გაპქონდა.

— ღმერთო, გაზაფხული მაინც ჩქარა დადგეს!.. — წამოიძახა გოგიამ კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ და ალაზნის ველს აქეთ-იქით თვალი გადაავლო, თითქოს ელოდა, ეხლავე დადგება გაზაფხული და ველი ამწვანდებაო, მაგრამ მწვანე ვერსად დაინახა, ყველგან ბრწყინავი თოვლი დახვდა...

„ფქვილი, ფქვილი, ფქვილი!..“ — წისქვილის ქვა კი ამას ჩასძახოდა ყურში ამ დროს და მადას უღვიძებდა.

— მეც მინდა ფქვილი, მაგრამ საიდან მოვიტანო?! — მწარის ღიმილით უპასუხა გოგიამ ქვას და თვალები დახუჭა.

„შედი შინ... შინ შედი, შინ, შინ“, — ჩასჩურჩულებდა თავის მხრით ბორბალზე მჩქეფი წყალი.

წყალი და წისქვილის ქვა ერთად შეერთდნენ და განუწყვეტლივ ამას ეუბნებოდნენ: „შედი შინ, შინ, შინ! ფქვილი, ფქვილი... ხთხოვე ფქვილი, ფქვილი, ფქვილი!..“

გოგიამ ყოყმანი დაიწყო: უნდოდა, შესულიყო — და ფქვილი ეთხოვნა, მაგრამ რცხვენოდა...

— ეჰ, რაც უნდა გაზდეს, ვსთხოვ!.. — ხელის ჩაქნევით გადაწყვეტით წარმოსთქვა, რაკი ქვა და წყალი თავისას არ იშლიდნენ, და შინ შევიდა.

ის თავს წაადგა ბუბრის ჰირას მწოლარეს, ... ყო აკანკალებულის ხმით:

— შენი ჭირიმე, გეგე...

იმან თხოვნა აღარ დაამთავრა, რადგანაც დაინახა, რომ გეგეს დასძინებოდა და გულიანად ხვრინავდა.

უეცრად თავში სხვა აზრმა გაუელვა და ამის მიხედვით თეფშს ხელი წამოავლო და ალასთან მივიდა, რომ ფქვილი ამოეღო. ჩუმად და ასე დაეხხნა თავისი თავი თხოვნისაგან.

ცალი ხელით თეფში ფქვილში წაურია და მეორით კი კრიჭა შებერტყა, რომ უკანასკნელი მარცვლებიც ჩამოებერტყა იქიდან.

— ეს რას შეყოფა?! — წამოიძახა იმან, როცა სავსე თეფშს დახედა, და ისევ შიგ მოაქცია... — ჭურდობა გავწიო და ერთი თეფშისათვის!..

„ხა, ხა, ხა, ხა!.. სულ, სულ!..“ ჩასძახეს ამ დროს ქვამ და წყალმა.

— ჰო, სულ, სულ!... შე კი ადამიანის შვილი არა ყარ?!. მშიერი ხომ არ მოვკვდები?!. — აღელვებით წამოიძახა და ხაჩქაროდ ნაჯახს ხელი წამოავლო.

„მოჰკალ, მოჰკალ, მოჰკალ!..“ — ქვა და წყალი აქეზებდნენ თავიანთი ხმით და აბედვინებდნენ გოგიას .ქკვლეულობას.

თვალანთებული თავს წაადგა მძინარეს და ის-ის იყო უნდოდა ნაჯახი დაეკრა, რომ ამ დროს იდუმალმა ხმამ ჩასჩურჩულა ყურში: „აბა, შენი ჭირიმე, გოგი, დროით დააბრუნე, თორემ შინ სახლობა სიმშილით მიწივის!“

ამ ხმაზე გოგიას მკლავი მოუდუნდა და ნაჯახის მაგივრად ფეხი ოდნავ წაჰკრა თავში.

— ადე, ჩამოვიდა!.. — ფეხის წაკვრასთან ერთად აღელვებული ხმით დაძახა ზევიდან და ხაჩქაროდ გარეთ გავარდა...

ანდაზებით თამაშობა

(გადმობეჭდილია 1912 წლის ჟურნალიდან „ნაკადული მოზრდილთათვის“)

ზრიად სასარგებლო და სახალისო თამაშობაა. მოთამაშენი სხედან რიგ-რიგზე. ერთი იმათგანი განშორდება სხვებს და გავა გარეთ, ან მეორე ოთახში. სხვები ამ დროს იგონებენ ანდაზას, რომელშიაც უნდა იყოს იმდენი სიტყვა, რამდენიც მოთამაშეა. თუ ოთხი თამაშობს, აირჩევენ ოთხსიტყვიან ანდაზას, მაგალითად, „თეთრი კბილი — შავი გული“, და ამ სიტყვებს გაიყოფენ რიგ-რიგად.

პირველს შეხვდება სიტყვა „თეთრი“, მეორეს — „კბილი“, მესამეს — „შავი“ და მეოთხეს — „გული“. მერე დაუძახებენ გარეთ გასულ მოთამაშეს. ის შემოვა და მიმართავს პირველ მოთამაშეს კითხვით, მაგალითად: „რას აკეთებდი დღეს?“ იმან უნდა უამბოს რაიმე, ზხოლოდ იმ პირობით, რომ პასუხში ჩაურთოს სიტყვა „თეთრი“, რომელიც შეხვდა. პასუხი მაგალითად, ასეთი იქნება: „დღეს მე გამგზავნეს ბაზარში პურის საყიდლად. როგორი დამაბარეს, ყური არ ვუგდე და შინ რომ დავბრუნდი, გამიჯავრდნენ: შე ურუანჩელავ, ჩვენ თეთრი პური დაგაბარეთ და შენ შავი მოგიტანია? და ხელმეორედ გამაგდეს ბაზარში გამოსაცვლელად საშინელ სიცივეში. აი, რა მოსდევს უყურადღებობას...“

შემოსული მოთამაშე ახლა მეორეს ჰკითხავს, შენ რაღას აკეთებდიო? ის მიუგებს: „მეც ბაზარში გაშგზავნეს კაკლის საყიდლად. სულმა წამძლია, რამდენიმე კაკალი მოვიპარე და გზა-გზა ვახრამუნებდი; მაგრამ ის ოხერი, ერთი კირკიტი გამოდგა და გატეხის დროს კბილი მომტეხა!.. იცოდეთ, რომ ნაქურდალი კაცს არ შეერგება!“

გამომცნობმა ჯერ უნდა გამოიცნოს ანდაზის შემადგენელი სიტყვები და მერე თვით ანდაზაც. თუ ვერ გამოიცნო, სამჯერ უნდა „გაიბუტოს“ (ე. ი. გავიდეს გარეთ) და თითოეულ იმის გასვლაზე ახალ-ახალი ანდაზა უნდა მოიგონონ. თუ გამოიცნობს, მაშინ თამაშობაში იღებს მონაწილეობას და მის ნაცვლად სხვა გავა გარეთ რიგით.

ანდაზაში შეიძლება მოთამაშეების რიცხვზე მეტი სიტყვებიც იყოს. მაშინ ზოგს ორ-ორ სიტყვას შეახვედრებენ. მაგალითად, ანდაზას „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდება“, ოთხი მოთამაშე ასე გაინაწილებს: ერთს შეხვდება „კოკასა შიგან“, მეორეს — „რაცა სდგას“, მესამეს — „იგივე“, და მეოთხეს — „წარმოსდინდება“. მხოლოდ ამ შემთხვევაში გამომცნობს უნდა გამოუცხადონ, რამდენი სიტყვისაგან შედგება ანდაზა. თუ მოთამაშეთა რიცხვი ოთხზე მეტია, ისეთი ანდაზა უნდა აირჩიონ, რომ თითოს თითო სიტყვა შეხვდეს.

თეო კანდელაკი



სიჯმარი

ვალერიან
მამუკელაშვილი

მხატვარი
ედუარდ ამბოკაძე

ჭრიალით მიჰყვებოდა ურემი ღიჭიანი ჭალის ალმართს. უხალისოდ მიაგორებდნენ ტალახიან თვლებს კამეჩები. ტვირთის სიმსუბუქე იმდენად არ აკვირვებდათ, რამდენადაც მეხრის ხმამაღალი შეძახილები. კარგა ხანია, ყური შეაჩვიეს მის ალერსსა და შექებას, მოფერებასა და ღიღინს და ახლა ვერაფრით მიმხვდარიყვნენ, რატომ დაჰყვიროდათ წამდაუწუმ პატარა ბიჭი. ვანო კი კამეჩებს თავის გასამხნევებლად უფრო უჯავრდებოდა, ვიდრე დასაშინებლად, შუბლშეკრული ხან ურემზე გაფენილ ლოგინს დასცქეროდა და ხანაც ფეხათრეულ კამეჩებს. თურდოს დაღმართზე კამეჩებმა ფეხს აუჩქარეს და ურემმა რიყის ქვებზე დაიწყო ხტუნაობა.

— ნელა, თქვე ღმერთგამწყრალებო! რა დაგეტაკათ? ნელა-მეთქი, არ გესმით? — ბიჭი წამოიწია, სახრე შემართა და ის იყო, ყორანა კამეჩისთვის უნდა გადაეჭირა, რომ საბნის ქვემოდან აკანკალებული ხმა მოისმა:

— არ დაჰკრა, ვანო, ცოდოა!

ბიჭმა სახრე დაუშვა და კვლავ კოფოზე მოიკუნტა.

ურემი კი მისდევდა შარას. საბანი ხან მოიჭმუჭნებოდა და ხანაც გაიშლებოდა. ხევგალმა ავადმყოფს სველა აუტყდა. აბუზულებდა ყრუდ და გაბმულად. ოფლში გახვითქულმა, როგორც იქნა, ამოისუნთქა, თავიდან ხილაბანდი წაიძრო და სახეზე ოფლი მოიწმინდა. საბანი თავზე აღარ წაუხურავს, მზეს შეეფიცხა. ხანგრძლივი ავდრის შემდეგ კავკასიონზე ღრუბლები გადაკრეფილიყვნენ და მთებზე დაფენილი პირველი თოვლი ისე კამკამებდა, როგორც აპრილის დილის მზის შუქით განათებული წიფლის ფოთოლი. ღრუბლების დაფლეთილი ნაპირებიდან გამოპარული სხივებით აჭრელებულიყო ალაზნის ველი, ხოლო ჩრდილოეთიდან ციგომბორის მთები ფხიზელი გუშაგებივით ფეხზე იდგნენ და, შემოდგომის ჭრელნაბადმოხვეულნი, ბარს დაჰყურებდნენ.

ამ მთების ფერდებზე გაატარა თავისი სიცოცხლე ლადომ, აქ აიდგა ფეხი. მის გაჭირვებულ მშობლებს შვილისთვის არც გაფუმფულებული ლოგინი ჰქონდათ და არც მოჩუქურთმებული ჭოჭინა. ნიკორა ზაქს მოპკიდებდა კუდზე ხელს და სიარულს ისე სწაკლობდა. აქ გაიზარდა, დავაჟკაცდა, აქ იგემა ცხოვრების სიტკბო და სიმწარე, შეიცნო ის, რაც სხვისთვის შეუცნობელი იყო: ტყის იდუმალი სუნთქვა, ფოთლის ჩურჩული, შიში და სიხარული. ხედავდა, რა სიამით ეგებებოდა ტყე მზის ამოსვლას, რა ჟრიამულით ხვდებოდნენ ჩიტები ფოთლებში შემოპარულ პირველ სხივებს, როგორ ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს, როგორ იშშუშნებოდა გაზაფხულზე მიწიდან ამოწვერილი ბალახი, რა უცნაური ხრუტუნ-ხრუტუნით ესალმებოდნენ გარეული ტახები თავიანთ გვარტომისებს, რაზე ყმუოდა ძუ მგელი ზამთრის გრძელ ღამეებში, როგორ უჯავრდებოდნენ დათვები ონავარ ბელებს. ბუნების ეს იდუმალი საუბარი მისთვის გამოცანას აღარ წარმოადგენდა -და ამიტომაც სიამით უგდებდა ყურს წვიმის წვეთების წკაპუნს წიფლის ფოთლების დიპლიპიტოზე, მოკრძალებით უვლიდა გარს შემოდგომობით ხის ძირებში გაფენილ მრავალსახა ფოთოლთა ხალიჩას.

— არ გადაიაროთ, არ გადაქელოთ, რა! — მისძახოდა მწყემსებს ყელგამოწეული...

ამ ხუთიოდე წლის წინ ლადომ ბუდიდან გადმოფრენილი წიწკანას ბარტყი იპოვა. ერთი კვირა ხელით აჭმევდა, ძალით გაღებულ პირში ფეტვის მარცვალს უდებდა, ველური მარწყვი მოჰქონდა და გალიის ბადეზე ჰკიდებდა. მალე მიეჩვია ღაბუა ჩიტი ახალ გარემოს, დილაობით გალობით აღვაძებდა მწყემსებს, სკუპსკუპით დახტოდა გალიაში. როგორი სიხარული შემოიტანა ამ პაწაწინა ფრინველმა ღარიბულ ოთხ კედელში, როგორ უბრწყინავდათ თვალები მწყემსებს! სამხრობისას დაბრუნებულნი, საკვე მუჭებით შემოდიოდნენ — ზოგს ხორბლის მარცვლები მოჰქონდა, ზოგს — მაყვალი. გაიზარდა წიწკანა, თავისუფლად დაფრინავდა გალიაში. წამოიზარდა, მაგრამ არ ემეტებოდათ გასაშვებად. ლადომ კი ქვა ააგდო და თავი შეუშვირა:

— ცოდოა, ხალხნო, გავუშვათ!

გაუშვეს, მაგრამ კარგა ხანი დამდურებულივით თვალს ვერ უსწორებდნენ ერთმანეთს, და როცა ერთ დილას ფარეხის ერდოზე შემომჯდარმა მათმა ხიზანმა ჩვეულებრივად შემოსძახა საგალობელი, გარეთ გაცვივდნენ და გაიხარეს.

— ის შერცხვეს, ვინც ამის შემდეგ ქვა ან თოფი ესროლოს! — წამოიძახა გიორგიმ, წიწკანას პეშვით ფეტვის მარცვლები გაუწოდა და როცა ჩიტმა პაწია ნისკარტით მარცვლები აკენკა, სიხარულის ხმებმა გააყრუა ტყისპირეთი.

ტყემ, მთის კალთებმა დალოცეს და ძალა მისცეს ლადოს, ავისგან კარგის გამორჩევა ასწავლეს, ტანჯვაც ბევრი აგემეს და სიხარულიც. მუშლში გაიმართა, მამის ნახირს აყოლებდა ფეხს, ჯერ უკან მიჩანჩალებდა, მერე გაიშუალა მანძილი დ ბოლოს თავშიც მოექცა. ცხენზეც მჯდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა და ხარის ქედზეც, ძროხის ახალმოწველილი რძეც შეუსვამს და კამეჩის უგემრიელესი მაწონიც უგემნია, მარწყვიც ბევრი მოუკრეფია და მაყვალიც, ახალდათოვლილი ზღმარტლიც მოუგროვებია და ჩაშაქრებული კუნელიც, კოდალასთვისაც გაუჯავრებია და ენაჭარტალა ჩხიკვისთვისაც, ჭორიკანა კაჭკაჭიც დაუჭერია და მოუსვენარი შაშვიც, მაგრამ არცერთისთვის არ უწყენინებია, ყველა თავის მეგობრად, ტყის უფლებამოსილ ბინადრად მიაჩნდა. სიკეთე ისწავლა მათგან, სიყვარული და შეურიგებლობა ბოროტებასთან. ამიტომაც გული ყოველთვის ტყისკენ მიუწევდა, იქ თავს უფრო ლაღად გრძნობდა: ჩვილი ხბოს ალერსი ყველაფერს ერჩივნა, კამეჩის ზურგი — გაშლილ ლოგინს და ცხვრის კისერზე ხელის მოთათუნება — ყველანაირ სიამოვნებას. ეს სიყვარული წლების მატებასთან ერთად თითქოს უნდა დაპატარავებულიყო, მაგრამ, პირიქით, გაიზარდა, გადიდდა და მის გულში ისეთნაირად დიდი ბინა, რომ უიმათოდ ყოფნა აღარ შეეძლო.

თოთხმეტი წლისა იყო, როცა მამამ თელაველ ხარაზთან შეგირდად მიბარება დაუპირა. იმ დღესვე სახლიდან გაიპარა და მესამე ღამეს იპოვეს ელდანაცემმა მშობლებმა ჭალაში, თელის ძირში; თავი ნიკორა კამეჩის თეძოზე მიედო და ტკბილად ეძინა.

როგორ წუხდა უხვთოვლიან ზამთარში შიმშილით დაუძლურებულ ტყის ბინადართა გაჭირვებაზე! რა აღარ გაჰქონდა სახლიდან: სიმინდი თუ ჭარხალი, ფეტვი თუ ქერი. დედის რამდენი საყვედური გამოჰყოლია სახლიდან, მამის დატუქსვა და ბუზღუნიც.

— მალე საქონლისთვის აღარ გვექნება საკვები და შენ კი ნადირისთვის გეძებეტება...

ადვილად სცნობდა თოვლის თეთრ მიტკალზე კურდღლის, მაჩვის, ციყვის, ზღარბის კვალს. აკვირვებდა მათი მიხვედრილობა. სიამით ადევნებდა თვალს გაშლილ სუფრაზე მოსულთა ნადიმს, სიამოვნებდა გულუხვ მასპინძელს მათი სიხარული.

ყველა, ვინც ტყეში სანადიროდ შედიოდა, თავის მტრად მიაჩნდა ლადის. ერთხელ ნაწიფაანთ ზაქარას მაშინ გადაუდგა წინ, როცა იმას ჩახმახისთვის უნდა გამოეკრა თითი. თოფი კი გაავარდა, მაგრამ წამის რაღაც მონაკვეთში მაინც შესძლო გა-

მოცდილმა მონადირემ მიზნის გამრუდება. ის თოფი ლამის თავზე გადაამტვრია ზაქარამ, მაგრამ ლადოს აინუნშიც არ ჩაუგდია, მთავარი ის იყო, ერთი უდანაშაულო ყურცქვიტა რომ გადაარჩინა სიკვდილს.

მონადირეებს თვალს მოკრავდა თუ არა, საქონელს ყასიდად ისეთს დასძახებდა, ნადირი კი არა, ფრინველებიც კი იკარგებოდნენ იმ არემარიდან. მოკლედ, ლადოსა და მონადირეთა შორის ნამდვილი მტრობა იყო ჩამოვარდნილი.

ყოველი ხე შეგობრად მიაჩნდა ლადოს, წიფელას „ტანწერწეტას" ეძახდა და მაყვალს — „შავთვალებას". წვრილშვილა სოსიკოს შავი დღე დაყენა რცხილის მოჭრისათვის, სათარი ადგილზე დაატოვებინა და მეორე დღეს ამ ღარიბსა და უსასოო კაცს თვითონ მიაყენა ხმელი შეშით დატვირთული ურემი კარზე. გაიხარეს ტიტლიკანა ბავშვებმა, ურემზე აცოცდნენ და წყობისად დაალაგეს შეშა ქოხის წინ.

დავაუკაცდა, მაგრამ გული ისევ ყმაწვილისა შერჩა. ერთხელ ტყეში დაჭრილ შვლის ნუკრს წააწყდა. სახლში ციმციმ ჩამოიყვანა. ლამაზი თვალებიდან ცრემლები სდიოდა ცხოველს და თვითონაც აცრემლდა, ჭრილობას უხვევდა და ღაწვებზე ჩამონადენი წვეთები ნუკრს ნაჭრილობებზე ეცემოდა. მაშინ იყო, მამამ რომ გამოსძახა:

— მაგის ჭრილობას კიდევ შენი მლაშე ცრემლები უნდა? შეეშვი, მე შევუხვევ!..

...დასცადა ლადო წლევანდელი შემოდგომის თოვლ-ჭყაპმა, მაღალმა სიცხემ ლოგინად ჩააგდო. სამი დღე უხარშავდა მისი თებრო შავბალახას, ძმრით უზელდა სხეულს, საბანს საბანზე უმატებდა, მაგრამ არ დაადგა საშველი, ვერ გათბა კაცი. ძეზობელი სოფლიდან ექიმბაშიც მოიყვანეს და ექთანიც, მაგრამ უკეთესობა ვერ დაეტყო და აი, მიჰყავთ ახლა თელავში, სიცხით გათანგული და გავარვარებული. უფროსი ბიჭი, ცხრა წლის ვანო დასვეს კოფოზე, უმცროსი, ხუთი წლის ნიკო, ძეზობელს ჩააბარეს საპატრონოდ და სამეთვალყუროდ.

ურემმა შუა ბაზარი გაიარა, მოედნის ბოლოში შეუხვია და იქ გაჩერდა. ურემს ნათესავები ნინა და დათა შემოეგებნენ და ლადო ციმციმ შეაყვანეს ოთახში.

— როგორ ხარ, კაცო?

— ცუდად ვარ, დათა, ასე ცუდად არასდროს ვყოფილვარ.

— არა უშავს რა, გამოკეთდები, რა გული გაგტეხია, მოგარჩენთ, ნუ გეშინია!

— მომარჩინე, დათა, და ორ ურემ ხმელ შეშას ჩამოგიტან, ნელლს ვერ შეგპარდები, მენანებიან ხეები. ასე მგონია, მაგათაც სული უდგათ და სტკივათ, შიშიც შეუძლიათ და წუხილიც.

— ხეს რა წუხილი უნდა ჰქონდეს, კაცო?!

— აქვს, როგორ არა! ნაჯახის დარტყმისას ავარდნილ ნაფოტზე გამოჟონილი ცრემლი არ გინახავს? მტირალა ვერხვზე უფრო მწუხარე ჭირისუფალი ჯერ არ შემხვედრია, ფოთოლშემჭკნარ ტოტებზე საზარი ცხედარი სად არის. ყოველ სულიერსაც ენა აქვს, ყველა ერთი სიცოცხლით ხარობს... აი, შენ პირუტყვი დაუძახე და, ჩემი კამეჩებისა ყველაფერი მესმის — თხოვნაც და ვედრებაც, შვებაც და ვაებაც. იმათაც ასევე ესმით ჩემი, გვერდში მომყვებიან და არასოდეს მღალატობენ...

ექიმმა დიდხანს უკაკუნა თითები ფერდზე, ბეჭებზე ყური მიაკრა, კარგა ხანს უსმინა, წამალი გამოუწერა და გარეთ გავიდა. ეზოს ჭიშკართან შემოტრიალდა და როდესაც უკან გამოდევნებული დათა დაიმარტოხელა, უთხრა:

— ორივე ფილტვის მწვავე ანთებაა. ეგ მაგის გადამტანი არ უნდა იყოს, ღმერთი თუ გადაარჩენს, თორემ სხვა საშველი არ მეგულება...

მეორე დღეს სიცხემ უფრო აუწია ლადოს, ოფლში კი არა, თითქოს მდულარეში ცურავდა. ლოგინთან ჩამომჯდარი, მოსალოდნელი უბედურებით გამეხებული თებრო ხშირ-ხშირად უმშრალებდა შუბლს.

შუადღისას ცოტა მოიკეთა და თებროს სთხოვა, დათასთვის დაეძახა.

— ცოტა ხანი მარტონი დაგვტოვე, თებრო, — ჩაიჩურჩულა ავადმყოფმა და გაჭრიალებულ კარებს თვალი გაყოლა.

— რა არის, ლადო? ახლა ფრანგული უფრო კარგად გამოიყურები.

— ცუდად არის ჩემი საქმე, დათა, ჩემი ბრალი კია... იმ დილას მზიანი დღე იდგა. კამეჩები შევაბი, ვიფიქრე, ტყეში წავალ, თონისთვის ფიჩხს მაინც ჩამოვიტან, სანამ ამინდები აიშლება-მეთქი. წავედი და სწორედ მაშინ ქარაშოტი ამოვარდა, წვიმამ და თოვლმა ერთად წამოუშინა, ისეთმა მსუსხავმა ქარმა დაუბერა, შიგ ძვალრბილში ატანდა. კამეჩებს დავხედე და მათი საცოდაობით დავიწვი, საწყლები ერთიანად კანკალებდნენ, ისეთი თვალებით გადმომხედეს, სისხლი გამეყინა ძარღვებში. ფარაჯა გავიძვრე და მათ გადავახურე...

— ეგ რა გიქნია, კაცო!..

— ოფლიანი ვიყავი, ყინულივით ცივმა წვიმამ და თოვლმა არ დამინდო და აი, მომილო კიდეც ბოლო. ახლა ერთსა გთხოვ, დათა, კამეჩებს ვინმე უბირს ნუ მიჰყიდიან, შვილებივითა მყავს გაზრდილი. ეგაა, ლაპარაკი არ იციან, თორემ ადამიანებივით გონიერები არიან. ყასაბს ნუ მისცემთ, ვინმე პატიოსან გლეხს ენდომება და იმას მიეცით, თან უთხარით, რომ ტკბილი სიტყვით უფრო მეტს გააგებინებს, ვიდრე ავით. ჩემს ობოლ ცოლ-შვილს პატრონობას ნუ მოაკლებ, გაჭირვებულის შემწეს ღმერთი უხდის სამაგიეროს... სიკეთეზე ფესვმაგარი სადედე ქვეყანაზე არაფერია და ამიტომაც თვალი გეჭიროს, ბიჭებს გზა არ გაუმრუდდეთ, იშრომონ, იჯაფონ. ამაზე უკეთესი მასწავლებელი ცხოვრებაში არაფერია. იმ ქვეყნად ნუ შემაწუხებენ, არც ქელეხი მინდა და არც საფლავის ქვა...

— აბა, აბა, ლადო, ეგ უკვე ზედმეტია, ვინ შენა და გულის გატეხა, შე კაცო!..

იმ ღამეს ქუხდა და ელავდა, წვიმის კაკუნში ისმოდა თებროს ჩუმი სლუკუნი: „რა მეშველება, ლადო, რა... რა ეშველებათ შენს ობლებს უშენოდ..."

დილით იმედგადაწყვეტილი დათა ფეხაკრეფით შეედა ავადმყოფთან, ლადო აღიმებოდა.

— გამარჯობა, დათა!

— გაგიმარჯოს! როგორა ხარ, ლადო?

— არა მიშავს, კარგი სიზმარი ვნახე, კარგი.

— რა სიზმარი?!

— ჩვენი მუხა, ბერიზვარში რომ იდგა, ხომ გახსოვს?

— როგორ არა...

— ჰყვაოდა. გვირილის ყვავილები ჰქონდა გამოსახული, ლამაზი, ლამაზი, ყირმიზივით თეთრი. ხეებზე ფოთლების ნაცვლად მწვანე დროშები ფრიალებდნენ, საქანელასავით მომართულ ხის ტოტებზე ჩიტები შემომსხდარიყვნენ და საამოდ გალობდნენ. უეცრად ცა შავი ჭვარტლით დაიფარა, იქუხა და ციდან ნიაღვარი წამოვიდა. ადიდდა, აზღვავდა ჩვენი ხევი, წყლის მაგივრად შავ კუპრს მოაგორებდა. ყალყზე შემდგარ ზვირთებს დამხრჩვალი ხარ-კამეჩი მოჰქონდა. მერე ხევი კალაპოტიდან ამოვარდა და სოფელს მოადგა. ხალხი, დიდნი და პატარანი, იმის მაგივრად, რომ ქუდზე კაცი დაეძახათ ნიაღვართან შესაბრძოლებლად, მუხის ქვეშ იდგნენ და პირუტყვებივით მიწას დაჰყურებდნენ. მე ველარ მოვითმინე, შუაგულში შევვარდი და გავძახე:

— რას შვრებით, ხალხო, ხომ ხედავთ, ვიღუპებით! ხელი გამოიღეთ, საკუთარი თავი თუ არა, ეს ბალღები მაინც არ გეცოდებათ? რა პირით გინდათ წარსდგეთ მამა-პაპათა წინაშე?!

უეცრად გამოფხიზლდნენ, ამოძრავდნენ, ზოგმა ნიჩაბს წამოავლო ხელი, ზოგმა — ბარს. ტყემაც ფეხი აიდგა და საშველად ქვემოთ ჩამოიწია, აზვართებულ ნიაღვარს წინ გადაუდგა. შეასკდნენ ზვირთები მუხებსა და წიფლებს, რცხილებსა და იფნებს, მაგრამ ვერაფერი დააკლეს. იქით მაყვლებმა და ძეძვებმა გადაუხერგეს გზა, აქეთ ლიჭმა და ეკალბარდებმა და, შეჩერდა, შეწივთდა, დაიწრიტა, დადნა ნიაღვარი. ღრუბლებიდან მზემ ისევ გამოანათა, „საამო ნიავმა დაუბერა და შორს გასტყორცნა შმორითა და სიდამპლით დაგუბებული სიმხურვალე. ისევე, როგორც წინათ, ტყეში ჩაჯდა სოფელი. მწვანემ დაფარა ველ-მინდორი, ჩიტებიც აჭიკჭიკდნენ, დედამიწა ყვავილთა სურნელებაში გაეხვია და ადამიანს ადამიანის ფერი დაედო.

— ჭეშმარიტად კარგი სიზმარი გინახავს, ლადო!

— ამ სიზმარმა მომცა სიმხნევე, დათა, მის გარშემო ეტრიალებ და ერთსლა ვნატრობ: ღმერთო, ამიხდინე სიზმარი, ღმერთო, გადაარჩინე ლედაბუნება!

ეს ცოტა

მაშინ 5 წლის თინიკოს ფერადი ბუშტი უყიდა. გოგონა ამაყად მიაფრიალებს წითელ ბუშტს. მოულოდნელად ბელი გაეშვა, ბუშტი ასფალტზე გაგორდა და უცად დაიჩუტა.

თინიკო: — მამიკო, უყურე! ბუშტი ჭუჩაში გადავარდა, მანქანების შეეშინდა და გული გაუსკდა!

●

6 წლის თინიკო ერთხელ მეზობელს გააყოლეს ცარკვში. მეორედაც ივიეე რომ დაუჭირეს, აღშფოთდა:

— უკეტრონო ხომ არა ვარ, ახლაც სხვას უნდა ჩააბაროთ ჩემი თავი?! დედაკომ წამიყვანოს!

●

4 წლის რატას ფეკრიამ საბალწლო ნაძვის ხე მოურთო. რატომ სათამაშოები ფრჩხილის კაკუნით მოხინჯა და გაიკვირვა:

— ფეკრია, უსმენე, რა ფერად-ფერადი ხმები აქვთ!

●

— ეგ, რატომ ოთხი ხელი არა მაქვს! — ოხრავს 6 წლის თინიკო.

—რად გინდა ოთხი ხელი? — უკვირს დედას.

— შენ და მამიკოს ერთად ჩაგიხუტებდით, ორი ხელი მარტო ცალ-ცალკე ჩახახუტებლად მეყოფნის.

●

5 წლის თინიკომ ღამით დედა გააღვიძა (სიზმარი უნახავს):

— დედიკო, შენ რომ კატა იყო და ჩემი ტოლი კნუტები გეყოლოდეს, შეეძლო კატარა თაგვებს?

●

სადღესასწაულო სუფრა გაიშალა. ბებიასა და ბაბუას ადღეგრძელებენ.

— ბებოს დღეობაა? — კითხულობს ექვსი წლის ნუგზარი.

— არა, შვილო. ბებოს და ბაბუს ქორწინების დღეა, — უხსნის მამა.

— ჰოო? მე მეგონა, ქორწილი უკვე გადახდილი ჰქონდათ. ახლა ბავშვები უნდა გააჩინონ?

●

სალამოა. ნუგზართან მეზობელი გოგონაა სტუმრად — ცირა; ირიბად გაკრილი, თითქმის მონღოლური თვალები აქვს.

ბებია (ნუგზარს): — ბუბო, ტკბილეულობა, ხომ? მთლად დაგვიწროვდა თვალები.

ნუგზარი: — ცირას ვიწრო თვალები რომ აქვს, სულ ეძინება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანესოჭროიოჭილან ჯეფკირიტ ხელოვნეჯეილი

სასწავლებლის დირექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი გივი სერგია

თბილისის სახელმწიფო საეტრადო საცირკო ხელოვნების სასწავლებლის დირექტორის, ბატონ გივი სერგიას კაბინეტში ჩემი ყურადღება ერთმა აფიშამ მიიპყრო. ახლოს მივედი. თურმე ზურაბ ვადაჭკორიას — სასწავლებლის სტუდენტს — დირექტორისათვის ბანჭოს დასტიდან ერთის ამორჩევა უთხოვია, შემდეგ მთელი დასტა აფიშისაკენ უსვრია. სუყველა ჩამოვარდნილა, ბატონი გივის მიერ ამორჩეული ფურცლის გარდა.

— იმ დღიდან, აი, ასე არის მიკრული ეს ბანჭო აფიშაზე, — ეღიმება დირექტორს. — მაინც, რას ნიშნავს ილუზიონისტის ოსტატობა?

უკვდავია ხელოვნება, ადამიანთა ნიჭის, შემოქმედების ნაყოფი მარგალიტებადაა გაბნეული ხალხში ქანდაკების, ფერწერის, სიტყვაკაზმულობისა თუ მუსიკის სახით.

მუზათა ღმერთებს უხვად დაუბერტყავთ თავიანთი მადლიანი კალთა ჩვენი პატარა საქართველოსათვის და დღეს ყოველი მეორე ქართველი ხელოვანი, ან ხელოვნების მოტრფიალე და თაყვანისმცემელია.

— ჩვენთან ესტრადასა და ცირკზე შეუყვარებული ახალგაზრდები მოდიან, — განაგრძობს ბატონი გივი.

მუსიკის სიყვარულმა მოიყვანა აქ ახმეტელი მაია მახაროვა. მისი აზრით, სწორედ მუსიკაშია ჩაქსოვილი სიხარული და კვნესა, სიძულვილი და სიყვარული, ლტოლვა გმირობისა და უკეთესი მერმისისაკენ. ამ გოგონას სულის საზრდო და გულის წყურვილი დღეს არის ქართული სიმღერა, რომელსაც იგი ამ კედლებში ეუფლება და ხვეწს.

— შეუძლებელია არ გიყვარდეს ცირკი! — ერთვება საუბარში მალხაზ ჩახვაშვილი, — ვინც კი თუნდაც ერთხელ გაიჟღინთა არენასა და კულისებში გამეფებული სადღესასწაულო ატმოსფეროთი, მას, შეუძლებელია, სიცოცხლის ბოლომდე არ გაბუდეს ეს გრძნობა. ცირკი ხომ მხიარულთა, მამაცთა და ძლიერთა ხელოვნებაა.

ძნელია, არ დაეთანხმო მალხაზს. მართლაც, ცირკი მხოლოდ ზღაპარი და ჯადოქრობა როდია, იგი საშუალებას აძლევს თითოეულ ჩვენგანს, შეინარჩუნოს და არ შემოეფანტოს ბავშვობის საოცარი ხილვები. ცირკი თავისებური სიბრძნეცაა. მომხიბვლელობასთან ერთად, იგი სულიერადაც გვზრდის — ეს აღმზრდელობითი გავლენა მის სილაღეში, კა-



ცხენის სიყვარულმა მოიყვანა ეს ახალგაზრდები პედაგოგ ნანა ველეკაძესთან

შკამა ფერებსა და არაჩვეულებრივ სანახაობრიობაშია.

— ძირითადი საესტრადო ჟანრებია: სოლო სიმღერა, დუეტი, ტრიო, კვარტეტი... ხალხური საკრავები — ფანდური, ჩონგური, ჩანგი... საცირკო განყოფილება — აკრობატიკა, ეკვილიბრისტიკა, ჟონგლიორობა, კლოუნადა, ილუზია-მანიპულაცია... — ამბობს ბატონი გივი! რამდენიმე წელია ჩვენთან თეატრალური განყოფილება ჩამოყალიბდა, რომელიც საშუალო სპეციალური განათლების მსახიობებს ამზადებს რესპუბლიკის სახელმწიფო თეატრებისა და კულტურის სახლების დრამატული კოლექტივებისათვის.

სასწავლებლის კურსდამთავრებულები ღირსეულად იცავენ ჩვენს პრესტიჟს ქვეყნის ფილარმონიებსა თუ საკონცერტო გაერთიანებებში. გვასახელეს მრავალი კონკურსის ლაურეატებმა, ფელეტონისტმა და კუპლეტების ავტორმა მზია კვირიკაშვილმა, ფელეტონისტმა ირინე ირემაშვილმა, მხატვრული კითხვის ოსტატებმა — ელდინო საღარაძემ, ელენე გრემელაშვილმა, ელენე მაყიშვილმა...

ილუზიის დარგში მოწონება დაიმსახურეს საერთაშორისო კონკურსების ლაურეატმა გია ფარადაშვილმა და ზურიკო ვადაჭკორიამ. გია ფარადაშვილს, როგორც საუკეთესო ილუზიონისტს, ისრაელში დარჩენაც სთხოვეს: მისი ნომრები ხომ მსოფლიო სტანდარტების დონეზე სრულდება!

ყველასათვის ცნობილია ხალხურ საკრავთა ტრიო „საუნჯე", რომლის ახალგაზრდა, ნიჭიერი ხელმძღვანელი ნიკო ნადირაშვილი მსოფლიოს აცნობს ქართულ ხალხურ სიმღერებსა და მელოდიებს.

აკრობატი-ეკვილიბრისტი ჯიმშერ ჩხაიძე ქართულ ესტრადაზე სწრაფად, მსუბუქად და მოხდენილად მოქმედებს. მას გამორჩეული, თავისებური სტილი და მანერა აქვს.

ქართული ცირკის არენაზე ხშირად ვხვდებით სასწავლებლის კურსდამთავრებულ კლოუნებს — ანზორ ხოჯაშვილსა და ელგუჯა ჯამალაშვილს (მათ თავისი ცოდნა და გამოცდილება ვადასცა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა, უხუცესმა კლოუნმა სანდრო თედიაშვილმა). საოცარი ოსტატობით დადის ბაგირზე რამაზ ვარშაურაშვილი. მოსკოვის ფილარმონიაში წარმატებით ასრულებს ნომერს ჩვენი ყოფილი სტუდენტი ვიქტორ ბაირიკოვი. ორიგინალური ჟანრის მსახიობები, აკრობატი-ითგები, ძმები კრიბელები, ამუამად ისრაელში მოღვაწეობენ.

— ალბათ სიცოცხლე ძალზე უფერული იქნებოდა, მას რომ რაღაც მიზანი და იდეალი არ ასხივოსნებდეს. ახალგაზრდამ უნდა გააკეთოს სწორი არჩევანი, რომელსაც მერე მთელი ცხოვრების გზაზე აღარ უღალატებს. სასწავლებლის პედაგოგები ცდილობენ, ჩვენთან მოსული მოზარდები დაარწმუნონ არჩევანის სისწორეში, გაუღრმაონ ხელოვნების სიყვარული და, საერთოდ, აქ გატარებული წლები წარუშლელ კვალად დასტოვონ მათს ცხოვრებაში.

— ბატონო გივი, რამდენადაც ვიცი, თქვენთან მრავალი სახელოვანი ადამიანი ეწეოდა და ეწევა ნაყოფიერ აღმზრდელობით მუშაობას...

— დიახ, შორს წაგვიყვანდა ყველას ჩამოთვლა, მაგრამ არ შემიძლია, არ აღვნიშნო კომპოზიტორები გიორგი ცაბაძე, შოთა მილორავა, ლილი იაშვილი, რეჟისორი რობერტ ქართველიშვილი, ქორეოგრაფები რევაზ ხონელიძე, ჯონი ფავლენიშვილი.

დღეს კი იმათ საქმეს ერთგულად აგრძელებენ რესპუბლიკის სახალხო არტისტები ე. საყვარელიძე, ედ. სეფაშვილი, ო. კელაპტრიშვილი, ც. ციცქიშვილი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები ა. თათარაძე, გ. ქართველიშვილი, ნ. ანდრონიკაშვილი, ნ. ცაგარეიშვილი, ლ. სიჯანიშვილი, ე. ახალკაცი და სხვ.

— ალბათ, ბევრ მოზარდს აინტერესებს, როგორია სასწავლებელში მიღების წესები...

— ჩვენთან ჩაირიცხებიან 14-23 წლის ახალგაზრდები. — შესაბამისი ტესტირების შემდეგ (სამედიცინო, ფიზიკური და მუსიკალური შემოწმება) ბარდება მისაღები გამოცდები. პირველ კურსზე თეორიული და პრაქტიკული მუცადინეობა შესაძლებლობას იძლევა, შემოწმდეს მოსწავლეთა მონაცემები, მათი ინდივიდუალური ნიჭიერება. პერსპექტიული მოსწავლეები გადადიან შემდეგ კურსზე. მეორე კურსზე იწყება სპეციალიზაცია, მესამეზე — ოსტატობის დახვეწა ხდება. საკონტროლო გაკვეთილზე პედკოლეგიტივი განსაზღვრავს მომავალი ნომრის შინაარსს, ზოგიერთ მოსწავლეს უფლება ეძლევა, კონცერტებში მიიღოს მონაწილეობა.

— ალბათ, მეტის გაკეთებას შეძლებდით, — გულისტკივილით განაგრძობს ბატონი გივი, — საკუთარი შენობა რომ გვქონდეს. მე-19 რუსულმა სკოლამ შეგვიკედლა. გარდა იმისა, რომ მეორე ცვლაში ვმუშაობთ, ინსტრუმენტებსაც ვერსად ვალაგებთ, რადგან მოსწავლეების „მეცადინეობით" მათგან ნაფოტებიღა რჩება. საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უქონლობის გამო ვერ ვახერხებთ ზოგიერთი ლაბორატორიული მუშაობის ჩატარებას. არაერთხელ მივმართეთ ზემდგომ ორგანოებს თხოვნით, გამოეყოთ ჩვენთვის შენობა, მაგრამ უშედეგოდ. მაგრამ იმედს არ ვკარგავთ, იქნებ ახლა მაინც დაგვადგეს საშველი და ჩვენმა ორასამდე მოსწავლემ და მათმა აღმზრდელებმა შევძლოთ ნორმალურ პირობებში მუშაობა.

კიდევ ერთი გამოშვება... ეს უკვე — მეოცე... ახლად დაფრთიანებული ოსტატების ცხოვრებისა და ხელოვნების ასპარეზზე გაუვანა...

განშორება ყოველთვის გულსატკენია... მაგრამ რას იზამ...

ერთი რამ უდავოა: საესტრადო-საცირკო სასწავლებლიდან გამოსული ახალგაზრდა თან გამოიტანს ცხოვრებისათვის საჭირო ცოდნასა და სულიერ საზრდოს. იგი უკვე ჩვენი საზოგადოების სრულუფლებიანი წევრია და მისი ხელოვნება ხალხისთვისაა საჭირო. მას უკვე ელოდება მაყურებელი, რომლისთვისაც ამიერიდან იგი იშრომებს და იღვაწებს. განა ეს ბედნიერება არ არის?

ნანა ფავლენიშვილი



ჯემალ კასრაძის ფოტო.

ალონსო დე ერსილია ი სუნიგა

მაპოვარი

ფოთხრობა



ბრძოლა მძიმე და სიხსლისმღვრელი იყო. მაგრამ ამჯერად არაუკანელთა ტომი არ დაგვდევნებია, როგორც ეს ადრე, ქალაქ კონსეფსიონთან მოხდა.

წინათ არასოდეს შემხვედრიან მეოშარი ქალები. რა მშვენივრად ფლობენ შუბს, როგორი გულადები არიან! რა სიმამაცით დაგვატყდნენ თავს ეს არაუკანელი ინდიელები! ჩვენი სიმამაცეც გატეხეს და გულშიც შიში ჩაგვიბუდეს!.. მაგრამ დღეს ჩვენმა ჯარისკაცებმა ერთი აბორიგენი დაატყვევეს, რომელიც გახურებულ ბრძოლაში თავისიანებს მეტისმეტად დაშორებოდა.

მას შემდეგ, რაც მოწინააღმდეგე, ბოლოს და ბოლოს, უკუიქცა და გაიცა ბანაკის დატოვების ბრძანება, ეს არაუკანელი ჩვენთან მოიყვანეს.

— მაგას ისეთი სასჯელი უნდა შევურჩიოთ, რომელიც აქაურ მეამბოხეთათვის სამაგალითო იქნება! — თქვა ჩვენმა შეთაურმა. — დაე, შეიგნონ, რომ ესპანეთის არმია სასტიკად გაუსწორდება ყველა ურჩს!

როცა მამაცი გალვარინო (ასე ერქვა ინდიელს) მოიყვანეს, მეც იქ ვიყავი. იგი წელგამართული, მტკიცე ნაბიჯით მოდიოდა, მცველად კი ათი ყველაზე მძვინვარე ჯარისკაცი მოჰყვებოდა. იგი მიიყვანეს მიწიდან ამოჩრილ ვეებერთელა კუნძთან, დააღებინეს ზედ მარჯვენა ხელი და ნაჯახის ერთი დაკვრით წაჰკვეთეს მაჯაში. და აი, მოხდა მოულოდნელი რამ: საკუთარი თვალით დავინახე, როგორ დადო მან კუნძზე მარცხენა ხელი, რომელიც მყისვე წაჰკვეთა მძლავრად მოქნეულმა ნაჯახმა..

ღმერთო ჩემო, რას შვრება ეს კაცი! ისე, რომ თვალიც არ დაუხამხამებია, ერთი კუნთიც კი არ შეუტოკებია, სახეზე აღბეჭდილი ღრმა სიძულვილითა და ზიზღით მან კუნძზე ახლა თავიც დადო და თქვა:

— ბარემ ეს ყელიც გამომჭერით, რომელსაც ესპანური სიხსლი სწყურია! მე არც სიკვდილის მეშინია, არც იმისა, რას მიზამენ. ვითომ რა დაკლდება ჩემს ხალხს, მე თუ დავიღუპები? არცთუ ისე დიდი დანაკარგია! ჩემი ხელები? მაგრამ ჩვენ კიდევ ბევრი ხელი გვაქვს — ღონიერი, მოქნილი ხელები, რომელთაც შეუძლიათ აუცდენლად ტყორცნონ შუბები!

ყველანი განცვიფრებულნი შევცქეროდით ამ სურათს. ჯალათს ნაჯახი არ აღუმართავს, არც არავის გაუცია საამისო ბრძანება.

გალვარინომ თავი ასწია და გამომწვევად თქვა:

— რაკი ჩემი მოკვლა არა გსურთ, ჩანს, რატომღაც ხელსაყრელია თქვენთვის, ცოცხალი დამტოვოთ. და რადგანაც თქვენ გსურთ, რომ ვიცოცხლო, მაშ, მე არ მინდა ეს! სიხარულით მოვკვდები თუნდაც იმისათვის, რომ ჩემი სიცოცხლით კმაყოფილება არ მოგანიჭოთ!

იგი გაგორდა სიხსლით მოთხვრილ მიწაზე და დაიწყო ჭრილობების ჯიჯგნა... რა გამწარებით, როგორი გაცოფებით კბენდა იგი თავისი ხელების ტაკვებს, უფრო მეტი სიხსლი რომ დახდენოდა!

იმ დროს, როცა გალვარინო ტკივილით განაწამებ სხეულს იგლეჯდა, ხოლო ჩვენი რისხვა თანდათანობით ხიბრალულით იცვლებოდა, უცებ დავინახეთ ჩვენს მიერ ერთი თვის წინ დატყვევებული არაუკანელი, რომელიც ახლომდებარე ბორცვის ფერდობზე ჩამოდიოდა და ნაძარცვით სავსე ფუთა მოჰქონდა.

როცა ეს ინდიელი გალვარინომაც დაინახა, გააღორებული მხეცივით დაეძგერა თავის თანატოლს, სიხსლიანი ხელები სახეში წაუშინა და ლამის ცოცხლად შემოეჭამა, და თუმცა ჩვენ მაშინვე მივეშველეთ არაუკანელ მონას, იგი ოდნავლა ხუნთქავდა.

გალვარინო კი უცებ შებრუნდა და გაიქცა, ისე მხუბუქად, თითქოს ქარიაო, და მოზეიმე ხმით მოგვაძახა:

— მე ჯერ კიდევ შემრჩა სიხსლი და ძალა! მე ვიცოცხლებ! როგორმე შოვახერხებ, უხელებოდ ვიძიო შური! ჩემი წაკვეთილი ხელები ამაში ხელს ვერ შემიშლიან!

თარგმნა

ლალი ცაგიტიშვილმა

შეხვედრა მწერალთან

ცნობილი მწერალი ერვინ შტრიტმატერი გერმანიის ერთ პატარა სოფელში ცხოვრობს. იგი სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრია და თვითონაც ხშირად იცვამს გლეხურად.

ერთხელ იგი თავისი ახალი რომანის ნაწყვეტის წასაკითხად სხვა სოფელში გაემგზავრა. მსმენელებთან შეხვედრამდე საკმაო დრო იყო და ერვინი კლუბის ეზოში საკუთარი მანქანის შეკეთებას შეუდგა. ამ დროს მას მწყემსი მიუახლოვდა და ჰკითხა:

— მწერალი ჩამოიყვანე?

— კი, — მიუგო მან.

— ალბათ დიდი მედიდური ვინმეა?

— არა მგონია.

— შენ რაც გინდა, ის თქვი, მწერლებს კი ყოველთვის ამაყად უჭირავთ თავი.

შეხვედრა რომ დაიწყო და სცენაზე მწერალი გამოვიდა, იმ მწყემსმა გვერდით მჯდომს ხმამაღლა გადაულაპარაკა:

— თვალის ახვევაა და მეტი არაფერი! ეგ ვაუბატონი მწერლის შოფერია. პირადად ვიცნობ.

ავტოგრაფის მოტრფიალე

ერთხელ დიდმა ფრანგმა მწერალმა ონორე დე ბალზაკმა სახლის პატრონს გაუგზავნა ბარათი, რომლითაც დაზიანებული სახურავის შეკეთებას სთხოვდა. რამდენიმე დღეს დაელოდა, მაგრამ ამაოდ, თუმცა მერე კიდევ ორჯერ მისწერა, მისი თხოვნა უყურადღებოდ დარჩა. მეოთხე წერილზეც რომ არ გამოეპასუხა, მეხუთედ სახლის პატრონი ლანძღვითა და წყევლა-კრულვით აავსო, რის შედეგადაც შემდეგი პასუხი მიიღო:

„დიდად პატივცემულო მაესტრო! როგორც ავტოგრაფების თავგადადებულ მოტრფიალეს, არ შემეძლო უარი მეთქვა თქვენი ამდენი ხელნაწერის ხელში ჩაგდებაზე. თქვენი ბოლო წერილი კი ერთადერთი იშვიათობაა, რომლითაც წარმოუდგენლად ვამაყობ. ჭერს კი დღესვე შეგიკეთებთ“.

დიდი ადამიანები ანეკდოტებში

ბოდვა

ცნობილი გერმანელი კომიკოსი კარლ ვალენტინი სასამართლოში მოწმედ გამოიძახეს.

— ბატონო ვალენტინ, სასამართლოს უნდა მოახსენოთ მხოლოდ საკუთარი თვალით ნანახი და არა სხვისგან გადმოცემული ამბები, — განუმარტა მოსამართლემ.

მოწმემ თავი დაუქნია.

— მაშ ასე. როდის დაიბადეთ?

— მე ეგ მხოლოდ მშობლების გადმოცემით ვიცი, ბატონო მოსამართლევ.

დიდგუნებოვნება

სადღესასწაულოდ პატარა ფრიდრიხ შილერი საუზმეზე ახალ ტანსაცმელში გამოწყობილი გამოცხადდა, ოღონდ ფეხსაცმელი ძველი ეცვა. თუმცა საგანგებოდ გაეკრიალებინა, მაგრამ დედამ მაინც შეამჩნია და ჰკითხა:

— რატომ ფეხსაცმელიც ახალი არ ჩაიცვი?

— ახალი ფეხსაცმელი ერთ ჩემს ამხანაგს ვაჩუქე.

— რატომ მაინცდამაინც ახალი აჩუქე?

— აბა, ძველი ხომ თვითონაც ჰქონდა.

პირადი მაგალითი

სახელგანთქმულ ფრანგ კომპოზიტორს, ოპერების — „ფაუსტისა“ და „რომეო და ჯულიეტას“ ავტორს შარლ ფრანსუა გუნოს გაყოყოჩებული სტუდენტები არ მოსწონდა. ერთ მშვენიერ დღეს საგანგებოდ შეკრიბა ისინი და უთხრა:

— ახალგაზრდობისას ყოყლოჩინა ვიყავი, მხოლოდ ორი კომპოზიტორი მწამდა: საკუთარი თავი და მოცარტი. მერე, როცა უფრო გავითქვი სახელი, უკვე სხვაგვარად ვამბობდი: მოცარტი და მე. ხოლო ახლა, როცა საკმაოდ ცნობილი ვარ, პატივისცემით და მოწიწებით მხოლოდ ერთ სახელს ვახსენებ: მოცარტი.

თარგმნა
შ. ამირანაშვილმა

ცარცა + ნესტო = ?

1. ს

ჯვარედინი



თარაზულად: 1. მზხეოლი მატულის ძაფის უხაოო ქსოვილი იატაკზე გასაფენად ან კედელზე გასაკრავად; 3. მცირე ფასად ღირებული; 5. გემის ან თვითმფრინავის უკანა ნაწილი; 6. უძველესი ცივილიზაციის ტომი; 7. გარიჟრაჟი; 9. მეფის რუსეთში კავალერიის ან ჟანდარმერიის ოფიცრის წოდება; 13. მეცხვარის ჯოხი; 14. მეცნიერება მხატვრული ლიტერატურის შესახებ, პოეზიის თეორია; 17. ძველისძველი ხალხი, ცხოვრობს პირენეის მთებში და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე; 18. სამხედრო ნაწილების სადისლოკაციო პუნქტი; 19. აღმოსავლური დამწერლობის ნიშანი, რომელიც მთელ ცნებას ან მარცვალს გამოხატავს; 21. სითხის ხაცავი დიდი დაბურული ლითონის კურეელი; 23. დაფა, რომელზედაც წარწერილია დაწესებულების სახელწოდება; 24. მუსიკალური საკრავი; 25. დებულება, რომლითაც ხელმძღვანელობენ თეორიულ მსჯელობაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში; 26. ქართული მითის გმირი.

შვეულად: 1. საერთაშორისო სპორტული ორგანიზაცია; 2. წმინდანად შერაცხული ქართველი მწერალი; 4. სესხად აღებული ფული, ნისიად წაღებული საქონლის საფასური; 6. ფრანგი მწერალი, „ბატონ ფალკონეს" ავტორი; 8. ფებბურთში მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონი ქვეყანა; 9. უურძნის ჯიში; 10. ფილოსოფიური მიმართულება, რომელიც დაკავშირებულია რელიგიურ იდეოლოგიასთან; 11. ადამიანი, რომელიც გაურბის სხვებთან ურთიერთობას; 12. თანაბრად, თანასწორად... 15. აზიის უძველესი სახელმწიფო; 16. საქართველოს პარლამენტის 1992 წლის არჩევნებში მონაწილე ბლოკი; 20. სისხლის მიმოქცევის მარეგულირებელი ორგანო; 22. ქართველი მომღერალი ქალის სახელი; 23. ძველი ქართული სიგრძის ერთეული.

შეადგინა
ლელა კედელაშვილმა,
ხიღნალი, ანაგის საშუალო სკოლა, VIII კლასი.

ᲡᲐᲮᲐᲚᲘᲜᲝ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ

ორჯერ მეტისა იქნება
ორი წლის მერე ნიკო
მასზე, რა ხნისაც ბიჭუნა
ორი წლის წინათ იყო;
სამჯერ მეტისა გახდება
სამი წლის შემდეგ თინა
მასზე, რა ხნისაც გოგონა
იყო სამი წლის წინათ.
იმახაც ბეტყვი, თუ გინდა,
და-ძმა ტყუპები გახლავს.
ის კი შენ უნდა გითხრა,
რა ხნის არიან ახლა.

ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ

მიწაში ცხოვრობს, მიწის ბაბს,
ხაკვეხს არავის არაფერს.

ᲨᲐᲠᲐᲓᲐ

ვით ზურმუხტში ხიფირონი —
მობნეულა ველად,
გაზაფხულის ყვავილია,
გაიხსენებ ზელად.
იმ მდინარის გამოცნობაც
ადვილია შენთვის:
წყნარია და წყალუხვია,
ზოგან ზღვას ერთვის.
ერთმანეთის მიყოლებით
თუ აკინძავ ახლა,
პატარინა მგალობელი
ჩიტუნია გახლავს.

შ. ამირანაშვილი

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲦᲔᲑᲘ

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ

თარაზულად: 5. ასლი; 6. კალა; 7. ბურღული; 9. რაპორტი; 11. კარანტინი; 14. ტირანია; 15. კამელია; 16. როლი; 17. ალტი.

შვეულად: 1. კარბურატორი; 2. ქლორი; 3. კასრი; 4. კაპიტულაცია; 8. ლორდი; 10. ოფიშა; 12. ბროლი; 13. ალალი.

ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

დრო; ზებრა; რუკა; ჯაკვი; ცოცხი; ბაბვი.

ᲨᲐᲠᲐᲓᲔᲑᲘ

გალაქტიკა, ონი, გალაქტიონი; ნაძვი, ნავი.

მთავარი რედაქტორი **ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲯᲘᲜᲯᲐᲠᲐᲫᲔ**

სარედაქციო კოლეგია: ᲜᲣᲑᲖᲐᲠ ᲐᲨᲮᲐᲖᲐᲕᲐ (პ/მგ მდივანი), ᲜᲘᲜᲝ ᲑᲔᲖᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲑᲣᲠᲐᲛ ᲑᲐᲡᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲑᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲐᲗᲐᲜᲐᲓᲘᲚ ᲒᲣᲠᲑᲔᲜᲘᲫᲔ, ᲓᲝᲓᲝ ᲕᲐᲓᲐᲮᲙᲝᲠᲘᲐ, ᲘᲝᲡᲔᲑ ᲡᲐᲛᲡᲝᲜᲐᲫᲔ, ᲜᲐᲜᲐ ᲤᲐᲕᲚᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲒᲐᲘᲝᲖ ᲤᲝᲪᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ (მხატვარ-რედაქტორი), ᲜᲝᲓᲐᲠ ᲤᲐᲛᲔᲜᲐᲫᲔ, ᲡᲘᲛᲝᲜ ᲨᲐᲛᲤᲠᲘᲐᲜᲘ, ᲒᲐᲑᲣᲚᲘᲐ ᲨᲔᲚᲘᲐ, ᲙᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲕᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲒᲘᲖᲘ ᲕᲘᲖᲘᲜᲐᲫᲔ, ᲖᲣᲠᲐᲑ ᲕᲣᲛᲑᲐᲣᲠᲘᲫᲔ, ᲜᲘᲜᲝ ᲪᲐᲠᲐᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, კოსტავას 14.
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ: მთ. რედაქტორის — 93-51-31, პ/მგ მდივნის — 93-52-04.

გადაეცა ასაწყობად 15. 10. 92 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25. 01. 93 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,85. შეკვ. 1776. ტირაჟი 12800.

ᲣᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲐᲬᲧᲝᲗ და დაიბეჭდა საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „საბჭოთა სტუდიაში.



— გაიცანით, გოგონებო, ძლეოსანი ბუთხუ-ზა!

— ახლა გაჩვენებთ, რა შემიძლია!

— ხედავთ, რას შვრება?



— აი, კუნთები!

— ნამდვილი ჩემპიონია!





ბავშვური ბიბლიოთეკა

ინდექსი 76157

ფასი 6 მან.